ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 22 ივლისი, 2021 | №133 (8662) | ფასი: 60 თეთრი

კაცმა ყოფილი ცოლი ჯერ მოკლა, შემდეგ კი მანქანით გადაუარა

გვ.5

საზარელი მკვლელობა მარნეულში

„კალაძე რეიტინგული კანდიდატია, მაგრამ უკონკურენტო არავინაა“

გვ.2



ნათია მეზვრიშვილი: „ჩვენ ჩვენი კანდიდატები გვეყოლება“

გვ.2

„მელიას მხარს არ ვუჭერთ, ჩვენს კანდიდატს წარვადგენთ“

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდაჭერა არასწორია, მესამე ძალას ვაყალიბებთ“

ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე თუ არ შეჯერდა, კალაძის დამარცხება გაუჭირდება“

გვ.3

„გამოჩნდა, რომ კალაძეს განსხვავებული პოზიცია აქვს და ირიბად ხელისუფლების სისუსტეზე მიანიშნა“

„პოლიტიკურმა და სამედიცინო ელიტამ თავისიანები აცრა“

გვ.4

შოთა მალაშხია: „პანდემიამ დააზარალა დანარჩენი საქართველო, პატარა ჯგუფმა კი ამაზე ფულიც იშოვა, ახლობლების ჯანმრთელობაც დააზღვია!“

მურმან დუმბაძე: „საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლება დიდი ოპოზიციური გაერთიანების გარეშე ვერ დამარცხდა“

გვ.4

„გაბედოს ელისაშვილმა და თქვას, რომ კალაძეს უჭერს მხარს!“

ISSN 1987-9385

2 დავით ჭიჭინაძე: „ეს იყო ძალადობრივი ქორწინება „ქართულ ოცნებას“ და კალაძეს შორის“

5 ქართველი ემიგრანტების თანხების თაღლითურად დაუფლებისთვის 6 პირს ბრალდება წარედგინა

3 ჯიმ რიში: „2012 წლის მერე რეგულარულად იმედგაცრუებული ვართ საქართველოს ამბებით“

6 საფრანგეთში კოვიდ 19-ის 150%-იანი ზრდა დაფიქსირდა

„მელიას მხარს არ ვუჭერთ, ჩვენს კანდიდატს წარვადგენთ“

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდაჭერა არასწორია, მესამე ძალას ვაყალიბებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? საკმაოდ მწვავეა ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება. დასავლეთიდანაც სერიოზული კრიტიკა გვესმის. როგორ აფასებთ არსებულ სიტუაციას?

– კვლავ უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი გვაქვს ქვეყანაში. სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ისევ ადგას თავის გზას, როცა პირობა და შეთანხმება დადებულია დასავლეთის მონაწილეობით და მას უნდა, რომ დაარღვიოს, თუმცა ამის შესაძლებლობას არც ჩვენ მივცემთ და არც დასავლეთი. უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა, შიმშილია ქვეყანაში, სამუშაო ადგილები კვლავ არ იქმნება. სტაგნაცია გვაქვს ყველა მიმართულებით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ქმედითი ნაბიჯებია საჭირო, მათ შორის, ოპოზიციის მხრიდანაც გადასადგმელი, იმისათვის, რომ ეს სტატუსკვო შევცვალოთ.

– ბატონო გიორგი, მოვისმინეთ თუ როგორი კრიტიკა იყო დასავლეთიდან მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, თუმცა კობახიძის განცხადებებით მოვისმინეთ, რომ ჩვენ ეს კანონი 19 აპრილამდე შევცვალეთ და ხელმეორედ ხომ არ შევცვლითო? რა ხდება, რას ცუღლუტობს „ოცნება“?

– „ოცნება“ ცუღლუტობს იმას, რაც მათ სჩვევიათ. ისინი ფიქრობენ, რომ რაღაცას მოგვატყუებენ, ცრუ არგუმენტებით საზოგადოებას დააჯერებენ, მაგრამ იგივე სენატორი რიშის გუშინდელი განცხადება და შარლ მიშელის პოზიცია და ჩვენი დასავლელი პარტნიორების პოზიცია, ვინც მონაწილენი არიან ამ 19 აპრილის შეთანხმების, ცალსახად უჩვენებს, რომ არ გავა ეს ტყუილი. ტყუილი, რომლითაც ისინი ცდილობენ, რომ ფონს გავიდნენ და ეს სიცრუე მიყიდონ საქართველოს მოქალაქეებს.

– სულ სხვა იყო შარლ მიშელის განცხადებები და სულ სხვა რამე თქვა ღარიბაშვილმა ამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

– მკაცრი იყო შარლ მიშელი და უფრო მეტიც, მან თქვა კიდეც ჩვენთან შეხვედრისას, რომ ვიდრე საჯარო განცხადება, პერსონალურ შეხვედრაზე, ის გაცილებით მკაცრი იქნებოდა. ამის შესახებ გვაქვს კიდეც ინფორმაცია, რომ შეთანხმების არშესრულება, ფაქტობრივად, დასავლეთისთვის გამორიცხულია „ქართული ოცნების“ მხრიდან, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო გადაუხვევს ევროპისკენ ინტეგრაციის გზას. შარლ მიშელის შეთანხმება როგორც შიდა პოლიტიკური კრიზისის მოგვარების მექანიზმია, ასევე ევროპასთან ინტეგრაციის მთავარი მექანიზმი.

– პარლამენტში ხელმეორედ ჩაინიშნა რიგგარეშე სხდომა, დღეს ცსკოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს „ქართულმა ოცნებამ“, ოპოზიციის ერთი ნაწილი არ აპირებს კენჭისყრაში მონაწილეობას. რას აპირებთ თქვენ?

– ფაქტი ის არის, რომ კანდიდატები, ვისაც იურიდიულმა კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია, მას მხარს არ უჭერს არასამთავრობო სექტორი. წინასწარ თქვა ჩვენმა გუნდმაც, რომ მარტივი წნეხის ტესტი უნდა ჰქონდეს გავლილი იმ ადამიანს, ვისაც ჩვენ ვენდობით, პროფესიონალური თვალსაზრისით. არც ერთ ამ კანდიდატს, ვისაც მხარი დაუჭირა იურიდიულმა კომიტეტმა, ნამდვილად არა აქვს ნდობა არც ჩვენგან და არც საზოგადოების მხრიდან. ისინი თანამონაწილენი იყვნენ იგივე 2018-2020 წლის არჩევნების გაყალბების. აქედან გამომდინარე თუ „ქართული ოცნება“ მაინც მხარს დაუჭერს ამ კანდიდატს და არ წავა კომპრომისზე, ესენი იქნებიან დროებითი წევრები და არა მუდმივი წევრები. იმიტომ, რომ 10 ხმა მათ არ ექნებათ.

– დიახ, როგორც ცნობილია, აკლდება „ოცნებას“ ხმები მათ ასარჩევად...

– ეს ნიშნავს, რომ თუ სამგზის აირჩევენ, მაშინ ისინი იქნებიან დროებითი, 6-თვიანი წევრები და შემდეგ ხელახლა დაიწყება შესარჩევი პროცედურა.

– მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებს ჩაატარებენ?

– კი, თუ მათ მაინც 76 ხმით აირჩიეს, ამ არჩევნებზე დროებითი წევრები იქნებიან. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ 8 ოპოზიციური კომისიის წევრი გვყავს ჩვენ.

– არჩევნები ვახსენეთ და 20 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის მერობის კანდიდატი წარადგინა. მოლოდინიც იყო, რომ კვლავ კალაძე იქნებოდა „ოცნების“ კანდიდატი. ოპოზიციის ერთი ნაწილი ნაცმოძრაობის ლიდერს, ნიკა მელიას უჭერს მხარს. რას აპირებთ თქვენ? როგორც ცნობილია, ამ საკითხში ერთსულოვნება არ არის და ყველა პარტია არ აპირებს მხარი დაუჭიროს მელიას.

– კი, ასეა, ყველა პარტია არ აპირებს, რომ მხარი დაუჭიროს. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ, სტრატეგია აღმაშენებელი, ვფიქრობთ, რომ მძლავრი მესამე ძალაა ჩამოსაყალიბებელი. ამისთვის პირველ ფაზად ჩვენ განვიხილავთ სწორედ თვითმმართველობის არჩევნებს, ხოლო საბოლოო ფორმირებისთვის უკვე საპარლამენტო არჩევნებს. ამიტომ ჩვენ გვაქვს კონსულტაციები კონკრეტულ პირებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, რომ მესამე ძალას ყავდეს საკუთარი კანდიდატი თბილისის მერობაზე.

– ვინ მოიაზრება ამ მესამე ძალაში? რამდენად არის იმის შანსი, რომ გახარია თქვენს გვერდით ვიხილოთ?

– არა, ჩვენ გახარიასთან არანაირი ურთიერთობა არა გვაქვს და კონკრეტულად თუ ვინ მოიაზრება, ამას უკვე თვის ბოლოს ნახავთ.

– ანუ, თქვენს კანდიდატს თვის ბოლოს დაასახელებთ?

– დიახ, ასეა. დაახლოებით ერთ კვირაში გავაცნობთ საზოგადოებას ჩვენს გეგმებს.

– საკმაოდ პომპეზური წარდგენა ჰქონდა სახელისუფლო კანდიდატს. რას იტყვით კალაძეზე? მას თბილისში სერიოზული მხარდაჭერა აქვსო. გაუწევთ კონკურენციას?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნათია მეზვრიშვილი: „კალაძე რეიტინგული კანდიდატია, მაგრამ უკონკურენტო არავინაა“

„ჩვენ ჩვენი კანდიდატები გვეყოლება“

– ფაქტია, რომ კალაძე საკმაოდ რეიტინგული კანდიდატია და მარტივი არ იქნება, მათ შორის ოპოზიციისთვის, კონკურენციის გაწევა, მაგრამ უკონკურენტო არავინაა. ჩვენ ჩვენი კანდიდატი გვეყოლება თბილისსა და რეგიონებში, საკმაოდ ღირსეული კანდიდატები და საკმაოდ ღირსეული კონკურენციას გავუწევთ, მათ შორის კახი კალაძესაც და ოპოზიციის მხრიდან წარმოდგენილ სხვა კანდიდატებს. ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ წევრმა, ნათია მეზვრიშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ განაცხადა.

ნათია მეზვრიშვილის თქმით, პარტია „საქართველოსთვის“ გამორიცხავს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსს.

როგორც მან აღნიშნა, მათ პარტიას აქვს საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელსაც თანმიმდევრულად მიჰყვებიან.

– ჩვენ თავიდანვე მივიღეთ გადაწყვეტილება, ოპოზიციურ პარტიებთან ამ საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებას არ ვაპირებთ. ჩვენ გვეყოლება თბილისსა და რეგიონებში ჩვენი კანდიდატები. ჩვენ უსაგნო დისკუსიებში დასაკარგი დრო არ გვაქვს, ამიტომ, გავედით უკვე რეგიონებში, სანამ ზოგიერთი პარტია მოლაპარაკებებით და დისკუსიებით არის დაკავებული, ჩვენ უკვე მოქმედებაზე ვართ გადასული და ამან კონკრეტული შედეგი უნდა გამოიღოს.

განვლილ პერიოდს თუ გადავხედავთ, შეთანხმებების მიღწევა, შემდგომ უკვე, ბოლოსკენ, როცა მიდის საქმე, როგორ რთულდება ხოლმე, ცოტა სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს. თავიდანვე, ჩვენ ამაში მონაწილეობა არ მიგვიღია, არც ვთვლით, რომ ჩვენ პარტიას სჭირდება ვინმესთან ალიანსი, მით უმეტეს „ნაციონალურ მოძრაობასთან,“ რომელსაც არც და ვერც განვიხილავთ.

პარტია „საქართველოსთვის“ თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი აქვს, რომელსაც ძალიან თანმიმდევრულად მივყვებით. კარგი გაგებით, გახარიას პარტიის შემოსვლა პოლიტიკურ ველზე, მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“ არა, მათ შორის სხვა პოლიტიკური პარტიებისთვისაც სერიოზული თავის ტკივილი გახდა.

გახარია საკმაოდ სერიოზული ფიგურაა, რასაც ბოლო პერიოდის კვლევები ადასტურებს. ბუნებრივია, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული შიშები არსებობს.

იმდენად მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება წინ, ეს არ არის მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ამ არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ბედი, რომელიც დემოკრატიული გზით, პირდაპირ გზა არის ხელისუფლების შეცვლისა, – თქვა ნათია მეზვრიშვილმა.

მეზვრიშვილმა 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

– ჩვენ ვითხოვდით „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებას იმ მოვლენებზე, რაც მოხდა. ჩვენ არ ვთვლით, რომ უნდობლობის გამოცხადება ამ ეტაპზე რაიმე შედეგს გამოიწვევს. ვთვლით, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, ეს ადამიანები, რომლებიც ძალადობას ახალისებდნენ და არაფერი გააკეთეს ძალადობის აღსაკვეთად, რეალურად დაუცველობის განცდა გააჩინეს ქვეყანაში, პარლამენტში უნდა მიბრძანებულიყვნენ ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრი, დღესაც ვითხოვთ ამას და გაეცათ საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხი.

ამის ნაცვლად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავიდან აარიდა ეს პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ოპოზიცია თბილისის მერობის კანდიდატად ნიკა მელიას წარადგენს

ტვ პირველის ინფორმაციით, ოპოზიცია არჩევნებზე საერთო კანდიდატს დაასახელებს. თბილისის მერობისთვის ნიკა მელია იბრძოლებს. საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე კი ელენე ხოშტარიას წარადგენენ. სანდო წყაროს ინფორმაციით, ოპოზიციურ ერთობაში ვიცე მერის კვოტა „ევროპულ საქართველოს“ ექნება.

კანდიდატებს შორის იქნება ზურაბ ჯაფარიძეც, თუმცა სად წარადგენენ „გირჩის“ ლიდერს, ჯერჯერობით უცნობია.

– ნიკა მელია ყველაზე ახლოს არის ამ წუთას, იყოს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი, თუმცა კვირის ბოლომდე ნებისმიერი კონტური უნდა გამოიკვეთოს, ეს კვირა არის საბოლოოდ კვირა, როცა ჩვენ დეტალებზე ვსაუბრობთ უკვე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან როგორც საპარლამენტო ძირითადი ოპოზიციური ძალები, ასევე არასაპარლამენტო პარტიები, რამდენიმე შინაარსობრივი ფორმულა დაგვრჩა მათთან გასავლელი, ამიტომ ვფიქრობთ, მალე უნდა წარვდგეთ საზოგადოების წინაშე, – ამბობს ხატია დეკანოიძე.

ოპოზიციის კანდიდატის წარდგენა პარასკევს მოხდება.

პრეზენტაცია საღამოს 9 საათზე ღია სივრცეში გაიმართება.

„ეს იყო ძალადობრივი ქორწინება „ქართულ ოცნებას“ და კალაძეს შორის“

დავით ჭიჭინაძე თბილისის მერობის კანდიდატად კალაძის წარდგენის შესახებ

„ტრიბუნას“ ლიდერის, დავით ჭიჭინაძის განცხადებით, თბილისის მერობის კანდიდატად კახა კალაძის წარდგენა „იყო ძალადობრივი ქორწინება „ქართულ ოცნებას“ და კალაძეს შორის“.

როგორც ჭიჭინაძე აცხადებს, „თუ ოპოზიციისთვის უმთავრესი მიზანი 43%-ის დაძლევაა და არა მერობის მოგება, თუ მთავარ გამარჯვებად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩაითვლება, მაშინ თბილისში საერთო ოპოზიციური კანდიდატი უნდა იყოს“.

– იმიტომ, რომ ფულიანი და ავტორიტეტიანი კალაძის გვერდით დატოვება ბიძინა ივანიშვილისთვის უკვე ნამდვილად მძიმე გადასატანი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ წინა არჩევნების პირველი ნომერი და „საამაყო“ გახარია უკვე ოპოზიციაში ჰყავთ. ასე რომ, თუ ოპოზიციისთვის უმთავრესი მიზანი 43%-ის დაძლევაა და არა მერობის მოგება, თუ მთავარ გამარჯვებად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩაითვლება, მაშინ თბილისში საერთო ოპოზიციური კანდიდატი უნდა იყოს.

ეს მათ გასაგონად, ვინ ჯერ კიდევ ცდილობს ხელისუფლებასთან ურთიერთობების დალაგებას. თან, ამ საარჩევნო კამპანიაში კალაძეს ნამდვილად ვერავინ აჯობებს ვერც ფინანსური რესურსით, ვერც ბაღების მოწყობაში და ორჯერ გზების დაგებასა და ვერც ავტობუსების წინ და უკან სიარულში, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

ამირან გამყრელიძე: „საშიშროება რეალურია, შევდივართ ძალიან სერიოზულ ტალღაში“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, ამირან გამყრელიძე ამბობს, რომ ქვეყანაში ეპიდვითარება უარესდება და საშიშროება სერიოზულია. გამყრელიძე მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ქორწილების, ქელეხების, დიდი დაბადების დღეებისა და სხვა შეკრებებისგან თავი შეიკავონ.

– საშიშროება სერიოზულია, ეპიდსიტუაცია უარესდება და ამიტომ ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ ჩვენ შევდივართ ძალიან სერიოზულ ტალღაში. დღეს და გუშინდელი მონაცემები დაახლოებით იმეორებს იმას, რაც მაისის პიკზე გვქონდა და რაც ნოემბრის დასაწყისში. ამას გააჩერებს ორი რამე: დაცვა წესების, რომ ცოტა ხანი თავი შევიკავოთ ქორწილებზე, ჭირის სუფრებზე, დიდ დაბადების დღეებზე, დიდ თავშეყრებზე, დიდ კონცერტებზე და ა.შ. და ავიცრათ ყველა, – ამბობს ამირან გამყრელიძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე თუ არ შეჯერდა, კალაძის დამარცხება გაუჭირდება“

ნიკა ჩიტაძე: „გამოჩნდა, რომ კალაძეს განსხვავებული პოზიცია აქვს და ირიბად ხელისუფლების სისუსტეზე მიანიშნა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ კახა კალაძე თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელა, რომელიც მერობისთვის უკვე მეორედ იბრძოლებს. პრეზენტაცია განსაკუთრებული უსაფრთხოების ნორმების ფონზე მოუწიათ, სადაც მედიას შესვლის უფლება არ მიეცა, თუმცა ჟურნალისტებმა 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით პროტესტის გამოხატვა მაინც შეძლეს. ეს თემა თავის გამოსვლაში ახსენა კალაძემაც. რა გზავნილები გააჟღერა კალაძემ და ოპოზიციაში თუ ჩანს კანდიდატები, ვინც კალაძეს გაუწევს კონკურენციას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

— „ოცნებამ“ ხელმეორედ დაასახელა კალაძე მერობის კანდიდატად. რას იტყოდით წარდგენასა და ფორმებზე?

— ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ სურვილი იყო, რომ კახა კალაძე ყოფილიყო წარმოდგენილი თბილისის მერობის კანდიდატად.

— ანუ, პარტიის სურვილი უფრო იყო, ვიდრე კახა კალაძის?

— გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა იკვეთებოდა კალაძესა და „ოცნებას“ შორის. დღესაც გამოდის ბატონი კალაძე და ამბობს, რომ 5-6 ივლისის მოვლენებზე უნდა ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიებაო. მკაფიოდ არ იგრძნობა პოზიციათა სხვადასხვაობა, მაგრამ გარკვეულწილად ეს კალაძის სურვილიც იქნებოდა. ეს რომ არ ყოფილიყო კალაძის სურვილი, არ იქნებოდა კანდიდატი.

— რა გზავნილი იყო კალაძის მხრიდან ამ საკითხის წამოწევა პრეზენტაციაზე?

— ის, რომ ძალადობას ჰქონდა ადგილი, რაც მიუღებელია. აქცენტი მაინც იმაზე გაკეთდა, რომ მას აქვს განსხვავებული პოზიცია იგივე კობახიძისგან და იგივე ღარიბაშვილისგან, რომელთაც განაცხადეს, რომ მართული იყო ის ძალები ოპოზიციის მიერ, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ. კალაძეს მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. მან ირიბად მაინც ხელისუფლების სისუსტეზე მიანიშნა. მას ოპოზიცია ღიად არ დაუდანაშაულებია განსხვავებით კორცხელის ინციდენტისგან, რაზეც იძახდა, რომ პროვოცირება მოახდინა „ნაცმოძრაობამ“. მისი პოზიცია შედარებით განსხვავდება ღარიბაშვილის, კობახიძისა თუ მდინარაძის პოზიციებისგან.

— ანუ, რიტორიკა აქვს შეცვლილი კალაძეს?

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რაღაც მიმართულებები არსებობს, სადაც სხვა პოზიციები აქვს. მაგრამ, რადგანაც ის დათანხმდა „ქართული ოცნების“ წინადადებას და ის გახდა ისევ „ოცნების“ სახე, ეს იმას ნიშნავს, რომ გვინდა თუ არა, ინტერესთა თანხვედრა უფრო არსებობს, ვიდრე განსხვავებები. წინააღმდეგ შემთხვევაში კალაძე უარს იტყოდა.

რაც შეეხება იმას, რატომ სურდა „ოცნებას“, რომ კალაძე ყოფილიყო კანდიდატი, თუ იქნებოდა სხვა კანდიდატი, ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ კალაძის მერობის პერიოდში ადგილი ჰქონდა შეცდომებს იგივე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ან სხვა მხრივ. თავის დროზე, როდესაც ნარმანია არ წარადგინეს ხელმეორედ მერობის კანდიდატად, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნარმანიამ ვერ გაართვა თავი თავის მოვალეობას. იმის აღიარება იყო, რომ მერობის დროს არაფერი გაკეთებულა. თუ გახსოვთ, მისი მერობისას არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა. ბოლო პერიოდში დაიწყო გზების რეაბილიტაცია თბილისში. რეალურად არც მილიონი ხე დარგულა და არც არაფერი.

კალაძე უკეთესი მენეჯერი აღმოჩნდა. ამას „ოცნებაც“ აღიარებს და საზოგადოების ერთი ნაწილიც. ნარმანიას უკეთესი განათლება აქვს, გერმანიაში იყო, სადაც ლიცენზია მოიპოვა და ა. შ. მაგრამ, ერთია ძლიერი იყო სამეცნიერო სფეროში და მეორეა, ძლიერი მენეჯერი იყო. შესაძლოა ორივე მიმართულებით ძლიერი იყო ან არც ერთი მიმართულებით. კალაძე უფრო ძლიერი მენეჯერი აღმოჩნდა და ამიტომაც „ოცნებას“ სურდა მისი წარდგენა კანდიდატად.

თბილისი არის მთავარი ქალაქი, სადაც უნდა წარიმართოს მთავარი ბრძოლა. თუნდაც იმიტომ, რომ თბილისზე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 30% მოდის. თბილისში ასევე ცხოვრობს მთლიანი მოსახლეობის 30%. ამიტომაც ნდობა გამოცხადდა კალაძეზე, მან მიიღო ეს წინადადება, მაგრამ თავის გამოსვლაში მაინც გააკეთა მინიშნება, რომ არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა.

— რაც შეეხება მედიაზე გაკეთებულ მის განცხადებას, რომ ზემოქმედებს საზოგადოებაზე მედია თავისი მოქმედებით და ა. შ., ეს როგორ უნდა გავიგოთ?

— ეგ რა თქმა უნდა მიუღებელია.

— ამით რისი თქმა უნდოდა? რა გზავნილად აღიქვით თქვენ?

— უფრო მაინც კრიტიკა იყო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მასმედიის მიმართ. მაგრა, მასმედია ნამდვილად ზემოქმედებს საზოგადოებაზე. კალაძემ იგულისხმა, რომ ცუდად ზემოქმედებს ადამიანებზე მედია. მაგრამ გააჩნია, რომელ მასმედიაზე ვსაუბრობთ. მედიამ შეიძლება ცუდი გავლენაც მოახდინოს საზოგადოებაზე და კარგიც. პრორუსული მედია, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია კი კარგად მოქმედებს. გლობალურ დონეზე შევხედოთ — „სი-ენ-ენ“-იც მოქმედებს საზოგადოებაზე, მაგრამ უფრო დადებითად. ზოგიერთი მედია საშუალება კი უარყოფითად ზემოქმედებს. მაგალითად, „რაშა თუდეი“ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანებზე.

— ოპოზიციაში დღესაც მსჯელობენ იმაზე, ვინ იქნება თბილისის მერობის კანდიდატი. არიან ოპოზიციაში ისეთი ფიგურები, ვინც რეალურ კონკურენციას გაუწევს კალაძეს?

— მე მგონია, რომ ოპოზიციაში არიან ასეთი ფიგურები, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეჯერდა ერთიან კანდიდატზე, რაც აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციას გამარჯვება გაუჭირდება. სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი 30-35%-ის ფარგლებში მერყეობს. ასე იყო 5-6 ივლისის მოვლენებამდე. ახლა შესაძლოა შემცირდა ოდნავ. შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი მმართველი პარტიის მიმართ.

კი, შესაძლებელია, რომ კალაძემ მიიღოს პირველ ტურში 35-40%. შესაძლოა მეტიც, რადგან „ქართულ ოცნებას“ აქვს ადმინისტრაციული რესურსი და ის მოახდენს მოსახლეობის მობილიზებას. მაგრამ არის კატეგორია, რომელიც „ოცნების“ მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი, მაგრამ ოპოზიციის მიმართაც კრიტიკულად არის განწყობილი და არც წავიდეს არჩევნებზე. ამიტომაც ამ პირობებში თუ ოპოზიციის ერთმა კანდიდატმა მიიღო 15%, მეორემაც 15%, ეს საბოლოო ჯამში გამოიწვევს ოპოზიციის დამარცხებას. კარგად გვახსოვს მერის წინა არჩევნები. კალაძემ მიიღო ხმების 35%-ზე მეტი, მაგრამ ელისაშვილმა მიიღო 18%, ხოლო უდუმაშვილმა 17%. აქ რომ ერთიანი კანდიდატი ყოფილიყო, მეორე ტური გაიმართებოდა და გაუჭირდებოდა კალაძეს გამარჯვება.

ოპოზიციამ დასკვნები უნდა გააკეთოს და წარსული შეცდომებიდან დასკვნები უნდა გამოიტანოს.

— ხომ არ აგვიანებს ოპოზიცია თავისი გეგმის წარდგენას?

— ჩემი აზრით, აგვიანებს. თუმცა, ჯერ კიდევ არის დრო და სწორი იქნება ჩრდილოვანი კაბინეტის დასახელებაც. სახელდება მამუკა ხაზარაძისა და გიორგი ვაშაძის კანდიდატურები პრემიერ-მინისტრად. ოპოზიცია მართავდა „ლეიბორისტების“ ოფისში შეხვედრებს და მიღწეული ერთობა და რესურსი არ უნდა დაიკარგოს. აქედან გამომდინარე ღირსეული კანდიდატები უნდა წარადგინონ. იმიტომ, რომ თბილისის გარდა თვითმმართველ ქალაქებშიც უნდა შეთანხმდნენ.

სალომე სამადაშვილი: „ოპოზიციამ კოალიციური მთავრობის კონტურები უნდა გამოკვეთოს“

ფრაქცია „ლელო — პარტნიორობა საქართველოსთვის“ წევრის, სალომე სამადაშვილის განცხადებით, თუ ოპოზიცია ვერ შეძლებს კოალიციური მთავრობის კონტურების გამოკვეთას, ეს არჩევნებზე ოპოზიციურ დღის წესრიგს დააზიანებს.

როგორც სამადაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ოპოზიციამ საზოგადოებას უნდა აჩვენოს პოტენციალი, რომ არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის ფორმირებას შეძლებს.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციამ, როგორც ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, ასევე საზოგადოებას აჩვენოს, რომ აქვს პოტენციალი, არჩევნების შემდეგ ფორმირება გაუკეთოს კოალიციურ მთავრობას. თუ ჩვენ დღეს ვერ შევძლებთ ოპოზიციური კოალიციური ერთობის კონტურების გამოკვეთას შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე, ვფიქრობ, ეს მხოლოდ დააზიანებს ოპოზიციურ დღის წესრიგს არჩევნებში. ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი დაგვეხმარება ოპოზიციური ხმების მობილიზებაში, — განაცხადა სამადაშვილმა.

ამასთან, სალომე სამადაშვილმა კიდევ ერთხელ შეაფასა ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელს არ აწერს და განაცხადა, რომ მისთვის ეს გაუგებარია.

— „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიცია არის სრულიად გაუგებარი. ისინი საქმიანობენ პარლამენტში, მაგრამ არ უერთდებიან მიშელის დოკუმენტს. ჩვენ ვნახეთ მოწოდებები როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, ასევე ევროპელი კოლეგებისგან, მათ შორის პრეზიდენტ მიშელისგან, რომ ამ ძალამ უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმებას.

მიმაჩნია, რომ ხალხი, ვინც დღეს შეთანხმებას ხელს არ აწერს, პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მიერ გატარებულ პოლიტიკას ჩვენს ქვეყანაში. ასე რომ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ აწერს „ნაციონალური მოძრაობა“ ამ დოკუმენტს ხელს, — განაცხადა სამადაშვილმა.

ნუგზარ წიკლაური: „ლელოსთან“ და ზურაბ ჯაფარიძის გუნდთან მიმდინარეობს მოლაპარაკება“

„2-3 დღეში საზოგადოება იხილავს გაერთიანებული ოპოზიციის შემადგენლობას“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები პარტიებთან: „ლელო საქართველოსთვის“ და „გირჩი — მეტი თავისუფლება“ კონსულტაციები მიმდინარეობს.

როგორც წიკლაური აცხადებს, თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციის საერთო კანდიდატად ნიკა მელია, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარედ ელენე ხოშტარია განიხილება.

როგორც წიკლაურმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში, „რეზიუმე“ განაცხადა, ზუსტი გადაწყვეტილება 2-3 დღეში გახდება ცნობილი.

— მე ვადასტურებ, რომ ნიკა მელიას სახელი, ელენე ხოშტარიასი და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსის, არის სწორად ნათქვამი, რადგან მართლაც მიმდინარეობს ამ ტიპის მოლაპარაკებები, მაგრამ არა მხოლოდ ეს ორი სახელი, არის კიდევ რამდენიმე სახელი.

როგორი იქნება საბოლოო კონფიგურაცია, ამას დაგვანახებს უახლოესი ორი დღე, სავარაუდოდ, მაქსიმუმ ორ-სამ დღეში უკვე სრულად იქნება ეს გუნდი წარდგენილი და ჩვენი საზოგადოება იხილავს, როგორი არის ამ გაერთიანებული ოპოზიციის შემადგენლობა როგორც პერსონალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

„ლელოსთანაც“ მიმდინარეობს, ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამ პოლიტიკურ გუნდს, ისევე, როგორც ზურაბ გირჩი ჯაფარიძის პოლიტიკურ ძალასთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება. ვფიქრობ, რომ ძალიან სოლიდური ჯგუფი იქნება იმ პოლიტიკური პარტიების, ვისაც გამოკვეთილი ევროპული, პოლიტიკური ინტერესები აქვს, — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

თაკო ჩარკვიანი: „მერობაზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა“

„კანონი და სამართლის“ ლიდერის, თაკო ჩარკვიანის განცხადებით, ის თბილისის მერობის არჩევნებზე მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

აღნიშნულის შესახებ ჩარკვიანმა ტელეკომპანია გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

როგორც ჩარკვიანი აღნიშნავს, მას მერობის სურვილი არც არასდროს ჰქონია. თუმცა, მისივე თქმით, მისი კანდიდატურა განიხილებოდა.

„ნამდვილად არასდროს მიფიქრია, არც ახლა ვფიქრობ. თუ ვიღაცამ რაღაც სურვილი დაინახა, ეს მხოლოდ თუ გაგახარებს ადამიანს. ვიცი, რომ განიხილებოდა, ვიცი ამის შესახებ, რადგან ჩემთან მოსულები იყვნენ, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, არ მიფიქრია ამაზე არასდროს და არც ახლა ვფიქრობ. მე დავუჭერ მხარს იმ ადამიანს, ვისაც დასავლური ვექტორი გადაწყვეტს იყოს გაერთიანებული ოპოზიციიდან. მკითხეს კიდეც, ნიკაზე არის დიდი ხანია საუბარი და სიამოვნებით მივემხრობი ნიკა მელიას. ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა თქვა, ვერ ვხედავ კანდიდატურას, რომ კონკურენცია გაუწიოსო. მე რომ ვამბობ, არ არიან ოპოზიცია და გაიგეთ-მეთქი და არავის სჯერა, ახლა ხომ კარგად დაიჯერეს უკვე. მოდით, ვისაუბროთ ვინმე ნიკა მელიაზე, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეობაზეა საუბარი, იმაზე დიდი მომხრე, ვიდრე კალაძე იყო „ნაციონალური მოძრაობის“, 5-იანს, რომ გვიჩვენებდა, კარგად გვახსოვს. გირგვლიანი მომხდარი იყო უკვე, ნიკა მელია ჩემ გვერდით მახსოვს 7 ნოემბრის დროს, როცა მე გირგვლიანს ვაპროტესტებდი, მაგრამ კახი კალაძე — არა. კახი კალაძე მახსოვს მომხრე იყო ზუსტად იმ პერიოდში“ — განაცხადა ჩარკვიანმა.

ჯიმ რიში: „2012 წლის მერე რეგულარულად იმედგაცრუებული ვართ საქართველოს ამბებით“

— მე და კომიტეტის სხვა წევრები იმედგაცრუებულები ვართ იმით, რაც საქართველოში ხდება.

ამის შესახებ აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების წევრმა ჯიმ რიშმა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, სადაც სახელმწიფო მდივნის თანაშემწეების კანდიდატებს მოუსმინეს.

— სენატორი შაჰინი და მე ვიმყოფებოდით საქართველოში 2012 წელს, როდესაც ისინი არჩევნებს ატარებდნენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს იქნებოდა ახალი დასაწყისი, მაგრამ მას შემდეგ ჩვენ რეგულარულად იმედგაცრუებულები ვართ იმით, რაც ქვეყანაში ხდება.

ისინი, სხვადასხვა პარტია, ჩამოდიან ვაშინგტონში და თითოეული მათგანი ცდილობს ჩვენს ჩართვას, ცდილობს, დავიჭიროთ მხარე მათ პოლიტიკურ მანევრებში. ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ეს თავად უნდა გადაჭრან. ჩვენ არ ვაპირებთ დავიჭიროთ რომელიმე მხარე, მაგრამ მათ არ აქვთ დიდი პროგრესი, — განაცხადა რიშმა.

„პოლიტიკურმა და სამედიცინო ელიტამ თავისიანები აცრა“

შოთა მალაშხია: „პანდემიამ დააზარალა დანარჩენი საქართველო, პატარა ჯგუფმა კი ამაზე ფულიც იშოვა, ახლობლების ჯანმრთელობაც დააზღვია. „ოცნების“ ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები გაწირა!“

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისის მერობის კანდიდატად ისევ კახა კალაძის დასახელების შემდეგ საქართველოში საყურადღებო გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თემა, რომელიც ბოლოდროინდელი ქაოსის გამო უკანა პლანზე იყო გადაწეული. რა მდგომარეობაშია ოპოზიცია? რა უნდა იყოს ოპოზიციის სტრატეგია და ტაქტიკა? რა შემთხვევაში დაჯაბნიან ოპონენტები „ქართულ ოცნებას“? რატომ დაარქვა შექმნილ სიტუაციას „კოვიდ 41 ?“ ყალიბდება თუ არა მედია მეოთხე ხელისუფლებად? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

– არ გაუჭირდება ოპოზიციას კახა კალაძესთან კონკურენცია? თუ მერების არჩევნებს ნაკლები ყურადღება მიექცევა?

– მოდით, გავიაზროთ, რა ხდება. ეს არ არის ჩვეულებრივი არჩევნები. ხალხს უნდა ცვლილებები და უკეთესი ცხოვრება. უკეთესი მომავალი შესაძლებელია დადგეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით. საამისოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თავისებური რეფერენდუმია. რამდენიმე ქალაქში მერებს ხალხი ირჩევს. ოპოზიციამ საზოგადოებას უნდა აუხსნას, რომ მარტო ამ პოსტებისთვის არ იბრძვის. დიდი ქალაქების მერების არჩევა დიდი პროცესის ერთი ნაწილია. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ უკეთესი მომავლისათვის. ყველაფერი დამყარებული უნდა იყოს კანონსა და სამართლიანობაზე. სამართალი ერთი უნდა იყოს ყველასათვის. შეუძლებელია, ჩვენ ერთი სამართალი გვქონდეს, ივანიშვილსა და მის გარემოცვას კი – სხვა. ვდგავართ კოვიდაფეთქების წინაშე. ეს არის პირდაპირ ხელისუფლების ბრალი.

– თქვენ სამედიცინო განათლება გაქვთ და რა შეფასებას აძლევთ შექმნილ სიტუაციას?

– გავიხსენოთ ახლო წარსული. მაშინ, როცა დღეღამეში ქვეყანაში ფიქსირდებოდა 20 კოვიდინფიცირებული, ამ ხელისუფლებამ (სხვა პრემიერის დროს) ყველაფერი ჩაკეტა და ჩაკლა. ხალხს წაართვა ლუკმაპური. შემდეგ გაიმართა არჩევნები, რომელიც „ოცნებამ“ გააყალბა. ამის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ ნამდვილი პირველი ტალღა ახლა იწყება. 2020 წლის ლოკდაუნს გამკრიტიკებლები „ქართულ ოცნებაშიც“ კი ჰყავს. დეპუტატმა კახა კახიშვილმა მოგვიანებით თქვა, რომ ეს სწორი არ იყო.

– ამაში თქვენც ხომ ეთანხმებით?

– რასაკვირველია, მაგრამ ეს მას თავის დროზე არ უთქვამს. ამაზე განაცხადა მაშინ, როცა გახარია პრემიერი აღარ იყო. გახარიას შეზღუდვებმა ქვეყანა დააქცია. ამავე დროს ხელისუფლება სამედიცინო ელიტასთან ერთად გვიმტკიცებდა, რომ ვირუსი დაამარცხა. ბევრად უკეთესი მდგომარეობაც რომ გვქონოდა, „ვირუსის დამარცხება“ იმ დროს, როცა მსოფლიოში არის პანდემია, წარმოუდგენელია. ეს ტერმინი სწორი არ არის. ამგვარი ამბიციური განცხადებები შეიძლება გააკეთონ თურქმენეთის, ჩრდილოეთ კორეის ლიდერებმა. მოგვიანებით შეიქმნა ვაქცინები. ვაქცინაციის პროცესი დაიწყო ყველა ქვეყანაში. საქართველო ამ მხრივ მაჩანჩალაა, კოვიდის გამო სიკვდილიანობით კი – პირველი. ასე რომ, გახარიას შემდეგაც ვერ გამოსწორდა მდგომარეობა. ცნობილია, რომ ვაქცინები დაიკარგა. ამას ასეთი ახსნა აქვს – პოლიტიკურმა და სამედიცინო ელიტამ აცრა თავისიანები. პანდემიამ დააზარალა დანარჩენი საქართველო, პატარა ჯგუფმა კი ამაზე ფულიც იშოვა, ახლობლების ჯანმრთელობაც დააზღვია. ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანესია. „ოცნების“ ხელისუფლებამ საკუთარი მოქალაქეები გაწირა. ეს არის ერთი საკითხი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ საბედისწეროდ შემოუბრუნდება. კიდევ ერთი თემაა ტერიტორიული მთლიანობა. ამ დღეებში უკრაინის პრეზიდენტი იმყოფებოდა გამყოფ ზოლთან, აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებზე სხვადასხვა ტრიბუნიდან საუბრობენ ბალტიისპირეთის, პოლონეთისა და უკრაინის ლიდრები. ამ დროს რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება? პრეზიდენტი, პრემიერი და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე (პარლამენტის ყოფილი სპიკერი) ლაპარაკობენ იმაზე, რომ 2008 წლის ომი დაიწყო საქართველომ. ასეთი განცხადებები არსებობს. საზოგადოებამ ეს ხელისუფლება უნდა ამხილოს. პირველ რიგში, მას უნდა მოედავონ ამ ორი თემატიკის გამო. „ქართული ოცნების“ ხელში კოვიდ-19 გადაიქცა გაუსაძლის მდგომარეობად სახელწოდებით „კოვიდ 41“. ის, ვინც კენჭს იყრის არჩევნებზე „კოვიდ 41“-ის მხარდაჭერით, ვერ გაიმარჯვებს.

– გგონიათ, რომ საარჩევნოდ ხალხი ამაზე იფიქრებს?

– ხალხს უნდა გამოსვლა საშინელი მდგომარეობიდან. ადამიანებს უნდათ უკეთესი მომავალი. ამიტომ, მათ ამაზე უნდა იფიქრონ. მდგომარეობიდან ღირსეული გამოსავალია ვადამდელი არჩევნები, მანამდე – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

– მოახლოებული არჩევნების პროპორციული ნაწილიც ამ ჭრილში უნდა განიხილებოდეს?

– რასაკვირველია. უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი ვითარება. არჩევნები არჩევნებამდე უნდა მოვიგოთ. უნდა გამოვიდეთ „კოვიდ 41“-ის მდგომარეობიდან.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლა ჩრდილოვანი მთავრობის დაკომპლექტების დრო არ არის? ამაზე პოლიტიკოსები მსჯელობენ.

– მაინტერესებს, რას იყოფენ?! ეს ჰგავს მოუკლავი დათვის გაყოფას. ჯერ ხომ შედეგი უნდა დაიდოს? ჯერ ყველამ წარმოჩინოს თავი, აჩვენოს, ვის რა წვლილი შეაქვს „კოვიდ 41“-ის დამარცხებაში. ჩვენ ხომ მდგომარეობის შეცვლაზე უნდა ვიმუშაოთ და არა ჯერ არარსებული პოსტების გადანაწილებაზე!

– ოპოზიცია ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ბოლო ვიზიტით გაწბილებული დარჩა. მიშელმა იმედი გამოთქვა, რომ მართლმსაჯულების რეფორმა გატარდება. თუ ასეა, სანქციები არ იქნება.

– მე შარლ მიშელის სიტყვებში საკმარისი კრიტიკა შევნიშნე. რასაკვირველია, აშშ-ის ტონი უფრო მკაცრია. პოლიტიკას დღეს აშშ აყალიბებს. საქმე ისაა, რომ ის ხალხი, რომელიც ახლა ხელისუფლებაშია, რეფორმებს ვერ განახორციელებს. ესენი მენტალურად არ არიან ის პირები, რომლებსაც შეუძლიათ პროგრესის მოტანა და რეფორმები.

– გიორგი კალანდარიშვილი ცესკოს თავმჯდომარედ პირველ ეტაპზე ვერ დამტკიცდა. შემდგომი პროცედურებით მას აირჩევენ ნაკლები ხმებით ნაკლები ვადით. რას მოელით?

– ხელისუფლება მუდმივად გვთავაზობს მანიპულაციებს. ჩვენ ამაში არ უნდა ჩავებათ. უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ცესკოს თავმჯდომარის ვინაობას მნიშვნელობა არა აქვს. ხდება ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – მედია უფრო სახელმწიფოებრივი და აქტიური ხდება. მას აქვს შანსი, რეალურად იქცეს მეოთხე ხელისუფლებად.

– ლექსო ლაშქარავას დაღუპვის შემდეგ?

– დიახ. მანამდეც გადიოდა სიუჟეტები პოლიტელიტის კორუფციულ ისტორიებზე, უკანონოდ გამდიდრებულებზე. მედიას აქვს რესურსი, ან გადაყენებამდე მიიყვანოს ხელისუფლება, ან ჩიხში მოამწყვდიოს. თუ ეს მოხდა, გამოჩნდება, რომ მედია ნამდვილად მეოთხე ხელისუფლებაა. ამის შემდეგ სხვანაირი გახდება სასამართლო, პროკურატურა და სხვა. ვითარების გარდატეხისათვის საჭიროა მედიის ერთიანობა.

– ბოლო ხანს ქვეყანაში მთავარ თემად გადაიქცა ლგბტ-საკითხები. არჩევნების წინაც ასე იქნება?

– არა მგონია. თუ აქცენტებს გადავიტანთ იმაზე, რაც ვთქვი, თუ დაიწყება პოლიტიკური პროცესები, ეს თემა ჩაიკარგება. რუსეთი აძლიერებს ერთმანეთისგან განსხვავებულ ულტრარადიკალებს ძალიან ბევრ სახელმწიფოში. მათ შორის, აშშ-ში, ევროპაში. იყო საუბარი იმაზე, რომ რუსეთი ერეოდა ტრამპის საარჩევნო კამპანიაში, ასევე ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიაში. ეს იმიტომ არ ხდებოდა, რომ რომელიმე რუსეთის ერთგული იყო. რუსეთი ხშირად ერევა იმისთვის, რომ დაძაბოს ვითარება და შექმნას ქაოსი. კრემლისთვის საქართველო საერთოდ საექსპერიმენტო ქვეყანაა. რუსეთი საქართველოში ატარებს ექსპერიმენტებს, რომ მერე სხვაგან გამოიყენოს. ბოლოდროინდელი კონფლიქტები, არეულობა და ლგბტ-თემის ხელოვნურად გამწვავება რუსეთის მოქმედებების შედეგია. სხვათა შორის, რუსეთის ჩარევაზე ვსაუბრობ ჩემს ახალ დოკუმენტურ ფილმებში. ერთის სახელია „ოკუპაცია გრძელდება“. ის 2020 წლის გაყალბებულ არჩევნებს ეძღვნება. მეორეს ჰქვია „კოვიდ 41“, მესამეს – ბიძინას საქართველო“.

„გაბედოს ელისაშვილმა და თქვას, რომ კალაძეს უჭერს მხარს!“

მურმან დუმბაძე: „საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლება დიდი ოპოზიციური გაერთიანების გარეშე ვერ დამარცხდა“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო მურმან, უკვე სახელდება თბილისში მერის პოსტზე ნიკა მელიასა და საკრებულოს თავმჯდომარედ ელენე ხოშტარიას კანდიდატები. რამდენად იქნებიან ისინი ოპოზიციის ერთიანი კანდიდატები?

– ოპოზიციური სპექტრი სრულად, მეტნაკლებად თავმოყვარე პარტიები ვთანხმდებით, რომ შეთანხმება გარდაუვალია იმისთვის, რომ ხელისუფლება დავამარცხოთ. ამ შეთანხმებას წინ არაფერი უდგას. ჯერ მოლაპარაკებები კარგად მიდის. ორ-სამ დღეში მოლაპარაკებების შედეგები ცნობილი იქნება. თუმცა, ჯერ საუბარია მხოლოდ დედაქალაქზე. მე კი ვფიქრობ, შეთანხმება მთლიანად ქვეყნის მასშტაბით უნდა მოხდეს.

– რამდენად იქნება კონკურენტუნარიანი კალაძესთან მელია? ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციას გაუჭირდება.

– ელისაშვილს ვურჩევ, უფრო გაბედული იყოს და წინ გადადგას ნაბიჯი. მე მის ადგილზე პირდაპირ ვიტყოდი: მხარს კახა კალაძეს ვუჭერ. ეს იქნებოდა მისი მხრიდან გაბედულება. დარწმუნებული ვარ, გუშინდელი ოპოზიცია კახა კალაძეს უჭერს მხარს. ეს მათი არჩევანია. გამოუცდელობით მოსდით. არ იციან, რა ელოდებათ მომავალში. პოლიტიკოსის მთავარი ამოცანა ხელისუფლებაში მოსვლა უნდა იყოს. ელისაშვილი მაგ ჭკუით ხელისუფლებაში ვერასოდეს ვერ მოვა.

– მელია და ხოშტარია რამდენად ძლიერი კანდიდატები არიან?

– ძლიერი კანდიდატები არიან. ხოშტარია ზეაქტიურია. მელიაც სუპერაქტიურია. ის პოლიტიკური პარტია, რომელიც საერთო შეთანხმებიდან გავა, ძალიან სწრაფად მიმავალი მანქანის ბორბლებში მოჰყვება. პოლიტიკური ვითარება, საერთაშორისო რეალობა, საარჩევნო გარემო და, რაც მთავარია, ამ ქვეყნის ამომრჩევლის სურვილია, დიდი გაერთიანებით დავამარცხოთ ხელისუფლება და დავასრულოთ ერთპარტიული მმართველობა ამ ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილმა მშვენივრად გაიაზრა, რომ მარტო ვერ დაამარცხებდა მიხეილ სააკაშვილს და ამიტომ შეკრა კოალიცია. ის არ არის უნიჭო ადამიანი. ყველაფერი კარგად გათვალა. გათვალა პერსპექტივები და ამიტომ შექმნა დიდი კოალიცია. საქართველოში ვერც ერთი ხელისუფლება დიდი ოპოზიციური გაერთიანების გარეშე ვერ დამარცხდა. გიხსენეთ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, თვით სააკაშვილი, ყველა გაერთიანებულმა ოპოზიციამ დაამარცხა.

– მამუკა ხაზარაძის იდეაზე რას იტყვით ჩრდილოვან კაბინეტთან დაკავშირებით თუ „ნაციონალური მოძრაობა“ უარს იტყვის ძალოვან პოსტებზე?

– ბატონი მამუკას ამ შეთავაზების გაკრიტიკება მომიწევს. თუ, ვინმეს ჰგონია, რომ წინასწარ უნდა გავინაწილოთ მინისტრის პორტფელები, არაფერი გამოვა. აქ მთავარია ალგორითმზე შევთანხმდეთ. თუმცა, წინასწარ აუკრძალო პოლიტიკურ პარტიას რაიმე თანამდებობის დაკავება, არ მგონია, სწორი იყოს.

– პრაგმატული მიზეზით?

– ამ ქვეყანაში თუ ვინმე ფიქრობს, რომ ძალოვნები იმ ვითარებაში უნდა დავტოვოთ, რა ვითარებაშიც იყვნენ 2012 წლამდე და 2012 წლიდან დღემდე, მაშინ რატომ ვცვლით ამ ხელისუფლებას?! რა გვინდა?! ჩემი ამოცანა კი არის დიდი პოლიტიკური რეფორმები, რომელიც პირველ რიგში სწორედ ძალოვნებით უნდა დაიწყოს. პროკურატურა, პოლიცია სხვანაირი უნდა იყოს. სასამართლო სისტემა სხვა უნდა იყოს. მე ვთავაზობ ოპოზიციას, პოლიციის შერიფები ადგილებზე, რაიონებში ხალხმა თავად აირჩიოს, როგორც ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ ასეთი საკანონმდებლო რეფორმა მოხდება, რა შუაშია წინასწარ ნაციონალურ მოძრაობას ავუკრძალოთ, მაგალითად, ხელვაჩაურში პოლიციის უფროსობა?! მე ვთვლი, რომ ქვეყნის მასშტაბით პოლიციის შეფი სამოქალაქო სექტორიდან უნდა იყოს.

საერთოდ დიდი კონსენსუსის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს ეს ყველაფერი. მედიამ, არასამთავრობოებმა, ომბუდსმენმა, ამ ქვეყნის საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა პარლამენტში შესულ ოპოზიციასთან ერთად კონსულტაციების შედეგად უნდა მიიღოს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სწორედ საკადრო მიმართულებით. შინაგან საქმეთა მინისტრი საერთო კონსენსუსის შედეგად უნდა შეირჩეს.

– ჩრდილოვან კაბინეტზე საუბრობთ?

– დიახ, ჩრდილოვანი კაბინეტი უნდა შედგეს. ეს ასე ხდება ყველა თავმოყვარე სახელმწიფოში არჩევნების წინ. არ მგონია, ამის საწინააღმდეგო ვინმეს რამე ჰქონდეს.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„მელიას მხარს არ ვუჭერთ, ჩვენს კანდიდატს წარვადგენთ“

– კალაძისთვის მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ არაფერი არ შეიცვლება. რა პრობლემებიც არის თბილისში, ისევ ის პრობლემები დარჩება და რა პრობლემებიც არის საქართველოში, ისევ ის პრობლემები დარჩება. აი ეს არის რეალობა. მთავარი საკითხი ქვეყანაში არის უმუშევრობა, შიმშილი და ამ პრობლემებს ვერც უშველიან და არც უშველიან. იმიტომ, რომ სულ სხვა ამოცანა აქვს ახლა კალაძეს და „ქართულ ოცნებას“, როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება და მაქსიმალურად გააგრძელოს ქვეყნის ძარცვა.

– ბატონო გიორგი, იმ შემთხვევაში თუკი ხელისუფლებას არ ეყოლება ერთიანი კანდიდატი, მაშინ როგორია შანსები გამარჯვების? აი ამაზე აკეთებს აქცენტს ნაციონალური მოძრაობა. ეს არ დაგაზარალებთ?

– ჩვენი მთავარი ამოცანა ამ არჩევნებში არის, არ ავაღებინოთ 43% „ქართულ ოცნებას“. ამისათვის მთავარი არის, მეტი პროპორციული ხმა იყოს ოპოზიციის მხარეს და არა კონკრეტული კანდიდატების მხარდაჭერა. ჩვენ ხომ სამიზნე გვაქვს, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს ქვეყანაში.

– ოპოზიციაში ყველას აქვს ეს მიზანი?

– სხვას თუ შეეცვალა მიზანი, არ ვიცი, მაგრამ ჩვენი მიზანი ეს არის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ თუ ოპოზიცია გაიშლება, ასე უფრო მარტივად შეძლებს ხელისუფლების დამარცხებას? მესამე ძალაში შემავალ პარტიებს გყავთ უკვე მერობის კანდიდატი?

– რამდენიმე კანდიდატს ვიხილავთ და ჩამოვყალიბდებით საბოლოოდ. ბევრი ღირსეული კანდიდატია, ვისაც შეიძლება რომ მხარი დავუჭიროთ.

– ანუ საპარლამენტო ოპოზიციაში ერთსულოვნება არ არის მელიასთან დაკავშირებით?

– არა. მე თავიდანვე ამას ვამბობდი, რომ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდაჭერა არასწორია.

– რატომ? დამაზიანებელია პროცესისთვის?

– ასეთ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ 43%-ს მარტივად მოაგროვებს. თუ ორპოლუსიანი რადიკალიზაცია იქნა, ეს აწყობს „ქართულ ოცნებას“.

– ორპოლუსიანი რატომ, გახარიაც ხომ შემოვიდა ამ პოლიტიკურ თამაშში?

– კი ბატონო, შემოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცით, რა თამაშს თამაშობს გახარია. იმედია, გაგვიმხელს.

– სამეულს წარადგენს ოპოზიციის ნაწილიო, მელია მერად, ელენე ხოშტარია საკრებულოს თავმჯდომარედ და ზურაბ ჯაფარიძე ვიცემერადო.

– კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ ჩვენ ნაცმოძრაობასთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობას არ ვაპირებთ.

კაცმა ყოფილი ცოლი ჯერ მოკლა, შემდეგ კი მანქანით გადაუარა

საზარელი მკვლელობა მარნეულში

20 ივლისს, საღამოს, საზარელი მკვლელობა მოხდა მარნეულში.

სოფელ ზემო სარალში ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კაცი ყოფილი ცოლის ოჯახს თავს დაესხა.

კაცმა ყოფილი ცოლი, 27 წლის ქალი და სიმამრი ადგილზე მოკლა. სიდედრი და ცოლისძმა კი მძიმედ არიან დაჭრილები. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მეზობლები ამბობენ, ადგილი ჰქონდა შურისძიებას – თუმცა რა გახდა შურისძიების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

ადგილობრივების თქმით, მას შემდეგ, რაც კაცმა ყოფილი ცოლი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, ეზოში მანქანით გადაუარა, ამის შემდეგ მის ოჯახის წევრებს გაუსწორდა.

ყოფილი ქმრისა და ცოლის ოჯახები ნათესავები არიან.

– მკვლელი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო და ალბათ ეს საზარელი მკვლელობაც ამიტომ მოხდა. ბიჭის ოჯახი ჩვენი ახლო ნათესავია და კონფლიქტი არ გვქონია. 1 თვის წინ დაშორდნენ და ურთიერთობაც ამის შემდეგ დაიძაბა.

ჩვენი ყოფილი სიძე გუშინ მივიდა, იარაღი უყიდია და ეს უბედურება ჩაიდინა. მოვიდა ეზოში, ჩვენს გოგოს და ოჯახის სამ წევრს ესროლა. მერე გოგოს ზედ გადაუარა მანქანით. აი აქ მოხდა ყველაფერი, სისხლის კვალიც ჩანს. მერე ჩვენი ხალხი მათს სახლში მივიდა და იქაც სისხლიანი გარჩევა მოხდა. ბიჭის მამა დაშავდა და ისიც საავადმყოფოშია, – უთხრა „მთავარს“ გარდაცვლილების ოჯახი წევრმა.

მარნეულში მომხდარი მკვლელობისთვის 1 პირი დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე, 1992 წელს დაბადებული ე.ა. დაკავეს.

მას ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ივლისს, ღამით, მარნეულის მუნიციპალიტეტში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ყოფილი მეუღლე – 1994 წელს დაბადებული გ.პ. და მამამისი – 1969 წელს დაბადებული ი.პ. მათსავე საცხოვრებელ სახლში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა, ხოლო იქვე მყოფი გ.პ.-ის დედის – 1974 წელს დაბადებულ ს.ა. -ს და ყოფილი მეუღლის ძმის – 1996 წელს დაბადებული ა.პ. – ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკვლას შეეცადა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ს.ა. და ა.პ. სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, 11 პრიმა-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

დაკავებულის დედა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ყოფილმა სიძემ მეუღლე და სიმამრი მოკლა, მათი ნათესავები ბრალდებულის ოჯახში ხელკეტებით შეიარაღებული მივიდნენ.

ბრალდებულის დედა ყვება, რომ მათ მანქანა დალეწეს, მის ქმარს კი სცემეს.

– ჩემი ვაჟი მათ ქალიშვილს დაშორდა, იმის მერე კონფლიქტი არ ჰქონიათ, გუშინ რა მოხდა, არ ვიცი. ღამე ჩემი ვაჟი რომ იქ მივიდა და ეს უბედურება მოხდა, გოგოს ოჯახის მხრიდან 10-მდე კაცი, რკინისა და ჯოხის ხელკეტებით შეიარაღებული ჩვენ სახლს თავს დაესხნენ, ეზოში ორი მანქანა დაგვილეწეს, მერე ჩემი ქმარი გარეთ რომ გამოვიდა, მას დაესხნენ, თავში ბლაგვი საგნები ურტყეს, თვალი დაუზიანდა, უგონო მდგომარეობაში რომ დაინახეს, მერე თქვეს, მოდი ამის ცოლიც მოვკლათო და მე უკანა ეზოში ბავშვით ხელში გავიქეცი, ჩემი ქმარი საავადმყოფოში იმყოფება, ახლაც მძიმედაა. ჩემს ვაჟს სამი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა

ობლად, დედა მოუკლეს, მამა კი ციხეშია, ჩვენც გავნადგურდით, – ამბობს დაკავებულის დედა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მარნეულში მომხდარი მკვლელობის საქმეზე კიდევ 2 პირი, 1970 წელს დაბადებული ტ. პ. და 1994 წელს დაბადებული ი.პ. დააკავეს.

ორივე დაკავებული მომხდარის შემდეგ ყოფილი ცოლის მკვლელობაში ბრალდებულს დაესხა თავს. უწყების ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ყოფილმა ქმარმა ყოფილი ცოლი და მამამისი მოკლა, ხოლო ყოფილი სიდედრი და ცოლის ძმა დაჭრა, გოგოს ახლობლებმა ნიჩბის გამოყენებით ბრალდებულის მამას დაზიანებები მიაყენეს, კიდევ ერთმა პირმა ოჯახის 2 ავტომობილი დააზიანა.

ტ.პ.-ს ბრალი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში ედება, ხოლო 1994 წელს დაბადებული ი.პ. სამართალდამცველებმა სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მას შემდეგ, რაც ამ დროისთვის ბრალდებულის სახით დაკავებულმა, 1992 წელს დაბადებულმა ე.ა.-მ მარნეულის მუნიციპალიტეტში 2 პირი მოკლა და 2 პირის მკვლელობას შეეცადა, მოკლულთა ახლობლები – ტ.პ. და ი.პ. ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მივიდნენ. ტ.პ.-მ ნიჩბის გამოყენებით ე.ა.-ს მამას სხეულზე დაზიანებები მიაყენა, ხოლო ი.პ.-მ მისი ოჯახის კუთვნილი ორი ავტომობილი დააზიანა“ – წერია უწყების განცხადებაში.

წყალმომარაგების 3 თანამშრომელს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს და ამავე კომპანიის ორ თანამშრომელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სამივე ბრალდებულს ალექსანდრე ბატიაშვილს, ირაკლი სირაძეს და მიხეილ ჭაბაშვილს საგამოძიებო უწყება ქრთამის აღებას ორ ეპიზოდად ედავება. ერთი ეპიზოდის შემთხვევაში 70.000 ლარს, ხოლო მეორე ეპიზოდის შემთხვევაში – 3.800 ლარს.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულების მიმართ პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. მოტივად კი დაასახელა მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულებების მოპოვების ხელის შეშლის საფრთხეები.

როგორც პროკურორმა სხდომაზე განმარტა, საქმეზე გამოკითხულნი არიან მოწმეები. დგინდება, რომ ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ქრთამის აღებას რამდენიმე ეტაპად ახორციელებდა. ბრალდების მხარის განმარტებით, თითოეული საფრთხე – მიმალვის, მოწმეზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების მოპოვების ხელშეშლის საფრთხეები სამივე ბრალდებულს თანაბრად ეხება, რის გამოც პატიმრობას ითხოვდა.

თავის მხრივ, დაცვის მხარე არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას. ირაკლი სირაძის ადვოკატმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ გამოკითხვის ოქმი, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი, არ არის დასაბუთებული ვარაუდი. მისი თქმით, ბრალდებულის მხრიდან არ არსებობს მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მოწმეზე ზემოქმედების საფრთხეები. ამ ფონზე გადამეტებულია მსჯელობა, რომ მისი მხრიდან არსებობს აღნიშნული საფრთხეების ჩადენა.

ადვოკატმა მოითხოვა, რომ მისი დაცვის

ქვეშ მყოფი ირაკლი სირაძე აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გარეშე დარჩეს, თუმცა ალტერნატივის სახით აღკვეთის ღონისძიებისთვის სასამართლოს შესთავაზა გირაო. ადვოკატის თქმით, სირაძეს გააჩნია საცხოვრებელი ბინა, რომელიც შეფასებულია 185.000 ლარად. შესაბამისად, გირაოს ოდენობაც განისაზღვროს უძრავი ქონების შეფასებით.

ასევე ბრალდებულ მიხეილ ჭაბაშვილის ადვოკატმა აღნიშნა, რომ საგამოძიებო ორგანოებს საქმეზე მტკიცებულებები არასწორად აქვთ მოპოვებული. მისი თქმით, არც ერთი თეთრი და მტკიცებულება არ არის ამოღებული ჭაბაშვილის მხრიდან, რითაც დანაშაული დამტკიცდება. ადვოკატმა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000 ლარიანი გირაო შესთავაზა და ამ პირობებში მოითხოვა, რომ ბრალდებულს მიეცეს საშუალება, მოიპოვოს მტკიცებულებები მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

კიდევ ერთი ბრალდებულის ალექსანდრე ბატიაშვილის ადვოკატმა აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლოს შესთავაზა გირაო 20.000 ლარის ოდენობით.

საბოლოოდ, სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობები არ გაიზიარა.

ცნობისთვის, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში სამივე ბრალდებულს 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ქუთაისის აეროპორტსა და ბათუმში თურქეთის 5 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქუთაისის აეროპორტსა და ბათუმში თურქეთის 5 მოქალაქე დააკავეს.

დაკავებულ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან: 1996 წელს დაბადებულ ჰ.ბ.-ს, 1992 წელს დაბადებულ ბ.ი.-ს, 2002 წელს დაბადებულ ი.ჩ.-სა და 1985 წელს დაბადებულ ჩ.ჩ.-ს ბრალად ედებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობა და ყალბი დოკუმენტების გამოყენება.

ასევე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, 1964 წელს დაბადებულ ი.შ.-ს კი ბრალი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ყალბი საბუთების გამოყენებით 2 ან მეტი მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისთვის წარუდგინეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის ოთხმა მოქალაქემ – ჰ.ბ.-მ, ბ.ი.-მ, ჩ.ჩ.-მ და ი.შ.-მ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, საპასპორტო კონტროლის გავლისას, მესაზღვრე-კონტროლიორს საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქის დროებითი ბინადრობის ყალბი მოწმობა წარუდგინა. ბრალდებულები ქუთაისი-მილანის რეისით, მილანის მიმართულებით გაფრენას აპირებდნენ. დადგენილია, რომ აღნიშნული პირების საზღვარზე უკანონოდ გადასვლის ორგანიზებას ასევე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე – ი.შ. ახორციელებდა.

პოლიციამ ბრალდებულების მიერ საპასპორტო კონტროლის დროს წარდგენილი ყალბი დოკუმენტები ნივთმტკიცებად ამოიღო“ – წერია უწყების განცხადებაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 344-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობას, ყალბი დოკუმენტების გამოყენებას, ასევე, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ყალბი საბუთების გამოყენებით ორი ან მეტი მიგრანტის უკანონოდ გადაყვანას გულისხმობს.

დანაშაულები 3-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ტვ პირველისა და რუსთავი 2-ის ოპერატორებზე თავდამსხმელებს ბრალი წარედგინათ

საქართველოს პროკურატურამ, 5 ივლისს, ტვ პირველის ოპერატორის, ლ.ბ-ს და რუსთავი 2-ის ოპერატორ ბ.ა.-ს, მიმართ ჟურნალისტური საქმიანობის გამო განხორციელებული დევნის, დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და შეუწყნარებლობის მოტივით ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ფაქტზე ი.წ.-ს და უ.დ.-ს ბრალდება წარუდგინა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის დროს, ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე ი.წ. და მასთან ერთად მყოფი პირები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მიზნით და შეუწყნარებლობის მოტივით, თავს დაესხნენ ტელეკომპანია ტვ პირველის ოპერატორ ლ.ბ.-ს, ხოლო ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე უ.დ. და მასთან ერთად მყოფი პირები თავს დაესხნენ მედია ჰოლდინგ რუსთავი 2-ის ოპერატორ ბ.ა.-ს. ბრალდებულები და მათთან ერთად მყოფი პირები ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, პროფესიული საქმიანობის შეწყვეტას აიძულებდნენ ოპერატორებს, რათა დაზარალებულების მხრიდან არ მომხდარიყო მათ მიერ განხორციელებული აგრესიული ქმედებების გადაღება და გავრცელება.

სამართალდამცველებმა ი.წ. 19 ივლისს, ხოლო უ.დ. 20 ივლისს დააკავეს“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით), 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით) და 225-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქედაში 2 მანქანა ერთმანეთს დაეჯახა და ხევში გადავარდა

გუშინ, 21 ივლისს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ქედაში – ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ მაგისტრალზე, სოფელ წონიარისთან 2 მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე ავტომობილი მდინარის ხევში გადავარდა.

ავტომობილებში 4 მგზავრი იმყოფებოდა.

მათგან 1 დაშავებული ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ქართველი ემიგრანტების თანხების თაღლითურად დაუფლებისთვის 6 პირს ბრალდება წარედგინა

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ქართველი ემიგრანტების „ფეისბუქ“ გვერდებზე უნებართვო შეღწევების და თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე 6 პირს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, წინასწარ შეისწავლეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველების „ფეისბუქ“ გვერდების შესახებ ინფორმაცია, შექმნეს არავერიფიცირებული ონლაინ-კაზინო და ტოტალიზატორების ანგარიშები, გაუწიეს მობილიზება იმ პირებს რომელთა სახელზეც გაკეთდებოდა სწრაფი გზავნილები და დარიცხავდნენ დანაშაულებრივად მოპოვებულ თანხებს. აღნიშნული პირობების შექმნის შემდგომ ბრალდებულებმა უცხოეთში სამუშაოდ მყოფი, საქართველოს 7 მოქალაქის „ფეისბუქ“ გვერდებზე უნებართვოდ შეაღწიეს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მათი სახელით დაუკავშირდნენ როგორც საზღვარგარეთ სამუშაოდ მყოფ, ასევე, საქართველოში მცხოვრებ მათსავე მეგობრებს, რომლებსაც ონლაინ-კაზინოსა და სწრაფი გზავნილის ანგარიშებზე სხვადასხვა ოდენობის თანხები მოტყუებით ჩაარიცხინეს. ბრალდებულები, თაღლითური გზით, 14 დაზარალებულის კუთვნილ 10.500 ლარს დაეუფლნენ.

სამართალდამცველებმა 5 პირი 20 ივლისს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა. აღსანიშნავია, რომ მეექვსე ბრალდებული, სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტზეა დაკავებული და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოსავლენად და დაზარალებულ პირთა დასადგენად“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

საერთაშორისო

საფრანგეთში კოვიდ 19-ის 150%-იანი ზრდა დაფიქსირდა „ეს არასდროს მოგვსვლია“

საფრანგეთში, გასული 24 საათის განმავლობაში, კორონავირუსის 18.000 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.

ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა ოლივერ ვერანმა განაცხადა.

– მხოლოდ 24 საათის განმავლობაში დაინფიცირების 18.000 შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც ერთი კვირის წინ 7.000-ზე ნაკლები შემთხვევა დაფიქსირდა. ეს ნიშნავს, რომ წინა კვირასთან შედარებით ვირუსის გავრცელების 150%-იანი ზრდა გვაქვს, ეს არასდროს მოგვსვლია, არც კოვიდის თავდაპირველად დაფიქსირებული შტამით, არც ბრიტანულით, არც სამხრეთ აფრიკულით და არც ბრაზილიურით, – აღნიშნა ოლივერ ვერანმა.

მინისტრმა მოქალაქეებს ვაქცინაციისკენ მოუწოდა.

– ჩვენ გვაქვს იარაღი – ვაქცინაცია. ეჭვისა და ყოყმანის დრო დასრულდა, კოლექტიური იმუნიტეტის დრო დადგა, ეს კოლექტიური პასუხისმგებლობაა და ერთადერთი გზა იმისთვის, რომ ვირუსს თავი ერთხელ და სამუდამოდ დავაღწიოთ, – აღნიშნა ოლივერ ვერანმა.

ცნობისათვის, ბოლო მონაცემებით, საფრანგეთში სრულად ვაქცინირებულია 30.7 მილიონი მოქალაქე.

საფრანგეთში კინოთეატრებსა და მუზეუმებში შესასვლელად ჯანმრთელობის საშვების წარდგენა ხდება სავალდებულო.

ეს არის საბუთი, რომელიც აჩვენებს, რომ ადამიანი ან აცრილია, კორონავირუსის ტესტზე უარყოფითი პასუხი აქვს მიღებული, ან ვირუსისგან ახალი განკურნებულია.

მოგვიანებით კანონმდებლები იმსჯელებენ, გააგრძელონ თუ არა მისი გამოყენება აგვისტოში კაფეებში, რესტორნებსა და სავაჭრო ცენტრებში შესასვლელად.

ჩინეთში ვაქცინების 1.46 მილიარდი დოზა გამოიყენეს, ევროკავშირში – 436 მილიონი, აშშ-ში კი – 338 მილიონი

მსოფლიოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 180 ქვეყანაში მიმდინარეობს და დღეში 32.8 მილიონზე მეტი ადამიანი იცრება.

ამ დროისთვის მსოფლიოში ვაქცინების 3.67 მილიარდი დოზა გამოიყენეს, რაც პლანეტის მოსახლეობის 23.9%-ის ორივე დოზით აცრისთვისაა საკმარისი.

ყველაზე მეტი 1.46 მილიარდი დოზა ვაქცინა ჩინეთში გამოიყენეს. მას ევროკავშირი მოჰყვება 436 მილიონი დოზით. ინდოეთში ვაქცინების 415 მილიონი დოზა გამოიყენეს, აშშ-ში კი – 338 მილიონი.

მსოფლიოში ორივე დოზით მოსახლეობის 50%-ზე მეტი აცრილია მალტაში, სეიშელის კუნძულებზე, ისლანდიაში, ბაჰრეინში, მალდივებში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ჩილეში, ურუგვაიში, ისრაელში, ყატარში, მონღოლეთში, უნგრეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთში.

ნიგერიის ხელისუფლებამ გატაცებული 100 ქალი და ბავშვი გაათავისუფლა

ნიგერიის ხელისუფლებამ შეიარაღებული პირების მიერ გატაცებული 100 ქალი და ბავშვი გაათავისუფლა.

გათავისუფლებულებს შორის ჩვილებიც არიან.

ზამფარას შტატში თავდასხმა 8 ივნისს მოხდა, რომლის დროსაც დაჯგუფების წევრებმა 4 ადამიანი მოკლეს, 100-ზე მეტი ქალი და ბავშვი კი გაიტაცეს.

ნიგერიის ხელისუფლების თქმით, მძევლების გასათავისუფლებლად გამოსასყიდი არ გადაუხდიათ.

ნიგერიაში ადამიანთა გატაცების ფაქტები გახშირდა. 2020 წლის დეკემბრიდან დღემდე ქვეყანაში 1.000-ზე მეტი ადამიანი გაიტაცეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

შიშველი ქალი ორ შენობას შორის თავდაყირა გაიჭედა

ამერიკის კალიფორნიის შტატში შიშველი ქალი ორ შენობას შორის გაიჭედა და მაშველები გააოგნა.

ინციდენტი ქალაქ სანტა-ანაში მოხდა. ქალი უცნაურად აღმოჩნდა ორ შენობას შორის დარჩენილ, დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგანის სივრცეში. მისი ყვირილი გაიგონეს მუშებმა, რომლებიც მაშინვე ვერ მიხვდნენ, თუ საიდან მოდიოდა ხმები, მალე კი მათ სახურავიდან შენიშნეს შიშველი ქალი, რომელიც თავდაყირა იყო გაჭედილი. რამდენ ხანს იყო ის ასეთ მდგომარეობაში, უცნობია.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა მხოლოდ ქალის ზურგზე გაკეთებული სვირინგისა და მისი ფეხსაცმელების დანახვა შეძლეს. ქალის გასათავისუფლებლად მათ კედელში ხვრელის გაკეთება მოუხდათ.

– ჩვენ 100 პროცენტით არ ვართ დარწმუნებული, როგორ აღმოჩნდა ქალი იქ. ეს ყველა ჩვენგანისთვის დიდი გამოცანაა, – განაცხადა ორინჯის ოლქის სახანძრო სამსახურის კაპიტანმა. სამაშველო ოპერაცია ორ საათს გრძელდებოდა, შემდეგ კი გადარჩენილი ქალი ექიმებს გადააბარეს.

მამაკაცმა ქუჩაში ფულით სავსე კონვერტი იპოვა და პატრონს დაუბრუნა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ უოკერში მამაკაცმა ქუჩაში იპოვა კონვერტი, რომელშიც სოლიდური თანხა იდო და პატრონს დაუბრუნა.

ხორცის მაღაზიის მფლობელმა ტიმ სობიმ და მისმა მეუღლე ტერეზამ განაცხადეს, რომ ისინი სასოწარკვეთილნი ეძებდნენ კონვერტს, რომელშიც მსხვილი თანხა ედოთ და რომელიც ბანკში უნდა მიეტანათ, მაგრამ – უშედეგოდ.

– ვეძებდით ყველგან, შემოვიარეთ ყველა ადგილი, სადაც კი ვიყავით. მაღაზიის ყველა თანამშრომელი მთელი დღე ეძებდა კონვერტს, – დაწერა სობიმ ფეისბუქში მაღაზიის გვერდზე. მას არ დაუკონკრეტებია, თუ რა თანხა იდო კონვერტში, თუმცა, ის კი აღნიშნა, რომ ასეთი თანხის დაკარგვა მისი ბიზნესისთვის მტკივნეული დარტყმა იქნებოდა.

მალე მაღაზიაში უცნობი პირი შევიდა და მის მიერ ნაპოვნი ფული გადასცა. სათვალთვალო კამერის ჩანაწერში ჩანს, რომ მამაკაცმა მაღაზიას მანქანით ჩაუარა, გზაზე დაგდებული კონვერტი შენიშნა, გაჩერდა და აიღო.

– ის ადრე ჩვენს მაღაზიაში არასოდეს შემოსულა, ასე კეთილშობილურად კი მოიქცა. ეს ფენომენალურია, – განაცხადა სობიმ და იქვე აღნიშნა, რომ მადლიერების ნიშნად მამაკაცს სასაჩუქრე ბარათი გადასცეს.

მამამ შვილი ორმეტრიანი კობრისგან იხსნა



ვიეტნამის პროვინცია შოკჩანგში მამამ ეზოი მოთამაშე შვილი სამეფო კობრისგან იხსნა. მომხდარი სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორი საშინელი სისწრაფით მისრიალებს შხამიანი გველი სახლის შესასვლელთან მოედანზე, რომელზეც ბავშვი თამაშობდა.

პირველმა საფრთხე ბიჭის პაპამ შენიშნა, რომელიც ბავშვის გვერდით იმყოფებოდა. მან გადატანილი ინსულტის გამო თავად სწრაფად რეაგირება ვერ მოახერხა და ყვირილი მორთო, რაზეც სახლიდან ბავშვის მამა გამოვარდა.

მამაკაცმა ბავშვს ხელი სტაცა და სასწრაფოდ სახლში შეიყვანა, პაპაც მათ კოჭლობით უკან მიჰყვა. კობრა მათ არ ჩამორჩა და გაედევნა.

ბავშვის სახლში შეყვანის შემდეგ მამა შესასვლელი კარის ჩასაკეტად უკან მოტრიალდა. პაპამ ქვეწარმავლისგან თავის დასაცავად ჯოხი მოიმარჯვა. კობრამ გვერდი აუარა ეზოში მიმოფანტულ სათამაშოებს და შეეცადა, მათ მისწვდომოდა, მაგრამ ოჯახმა შესასვლელი კარის ჩაკეტვა მოასწრო.

ჯოხით შეიარაღებულმა დედამ გოგონა ლეოპარდის თავდასხმისგან იხსნა

ინდოეთის მახარაშტრის შტატის ქალაქ ჩანდრაპურის მახლობლად, სოფელ ჯუნონაში, დედამ თავისი ხუთი წლის გოგონა ლეოპარდის თავდასხმისგან იხსნა.

არჩანა მეშრამი სოფლის მახლობლად წყლის საწრეტის მცენარეულობისგან გასაწმენდად იმყოფებოდა, გვერდით კი ედგა თავისი ხუთი წლის გოგონა, პარჯაკტა.

მოულოდნელად ლეოპარდი თავს დაესხა გოგონას და კბილებით თავში ჩააფრინდა. დედა სწრაფად მოეგო გონს, ჯოხს ხელი დასტაცა და მტაცებელს ცემა დაუწყო. ბოლოს და ბოლოს, ლეოპარდმა ბავშვს პირი გაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ მის დედას დაესხა თავს.

არჩანამ მტაცებლის მოგერიება მოახერხა, მაგრამ ლეოპარდი ახლა ისევ გოგონას დაესხა თავს და მის ტყეში შეთრევას შეეცადა. ქალი ცხოველს გამოეკიდა და მისი ჯოხით ცემა გააგრძელა მანამდე, სანამ ლეოპარდმა პირი არ გაუშვა და ტყეს არ შეაფარა თავი. გოგონამ ღრმა ჭრილობები მიიღო სახესა და თავზე, თუმცა ცოცხალი გადარჩა.

„ბი-ბი-სი“-ს რედაქტორის ქონების მემკვიდრეს მიაგნეს

15 წლის ინდონეზიელი გოგონა 2020 წლის სექტემბერში გარდაცვლილი „ბი-ბი-სი“-ს რედაქტორის სოლიდური ქონების მემკვიდრე გახდება.

ალექსანდრ ტომპსონი, რომელიც „ბი-ბი-სი“-ს აღმოსავლეთ აფრიკისა და შორეული აღმოსავლეთის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, 2020 წლის შემოდგომაზე 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ნივთებს შორის აღმოაჩინეს 20 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ვაზა, 18-მეტრიანი იახტის საბუთები და იშვიათი ძველი ჩინური ნივთები, მათ შორის პუფი ფეხებისთვის, რომელიც 2,2 ათას ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული. სხვა ქონებასთან ერთად, მემკვიდრეობა 400 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება.

ტომპსონი დაქორწინებული არ ყოფილა და არც ანდერძი დაუტოვებია. ამის გამო მისი ქონების მემკვიდრის მისაგნებად დეტექტიური სააგენტოს დაქირავება გახდა საჭირო. თავდაპირველად მემკვიდრეობის ძირითად პრეტენდენტებად გარდაცვლილის ნათესავები განიხილებოდნენ, თუმცა დაწვრილებითი გამოძიებით გაირკვა, რომ მას ინდონეზიაში 15 წლის ქალიშვილი ჰყავდა.

როგორც გაირკვა, ტომპსონმა არაოფიციალური ქორწინება გააფორმა ამ ქვეყნის მცხოვრებ ქალთან. მათ ის რელიგიური საქორწინო ცერემონიით გაამყარეს და 2006 წელს გოგონა შეეძინათ. ვინაიდან ტომპსონს სხვა შთამომავალი არ დარჩენია და არც რაიმე მითითება დაუტოვებია, მისი ქონება მემკვიდრეობით სწორედ გოგონას შეხვდება.

– მოხარული ვართ, რომ ალექსანდრეს ქალიშვილის პოვნა შევძელით და ის სრულიად კანონიერად მიიღებს მის ქონებას, – განაცხადა დეტექტიური სააგენტოს წარმომადგენელმა დენი კურანმა, რომელიც გამოძიებას ხელმძღვანელობდა.

მეთევზეების ხომალდს თავს ვეშაპი დაესხა

ამერიკის როდ-აილენდის შტატის კუნძულ ბლოკის სანაპიროს მახლობლად ვეშაპი წყლიდან ამოხტა და დაეჯახა ხომალდს, რომელზეც ხუთი მეთევზე იმყოფებოდა.

ზღვის ცხოველის თავდასხმა ნაპირიდან 16 კილომეტრში მოხდა. მეთევზეებმა შენიშნეს, როგორ მიცურდა მათ ნავთან ვეშაპი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ დარტყმის ხმა გაიგონეს. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მეთევზე ნავიდან გადავარდა და პირდაპირ ვეშაპს დაეცა ზურგზე.

მეგობრებმა წყალში გადავარდნილი მეთევზე ამოიყვანეს, ამ დროს კი შენიშნეს, რომ დარტყმის შედეგად ხომალდის გვერდს დიდი ბზარი გაუჩნდა, საიდანაც გემში წყალმა დაიწყო შეღწევა. მეთევზეებს დახმარება სანაპირო დაცვის სამსახურმა გაუწია. ისინი ნაპირზე გადაიყვანეს. არც ერთი მათგანი აღნიშნული ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა. დაზიანებული ხომალდი პოინტ-ჯუდიტის კონცხზე შესაკეთებლად გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

საქართველოში სიწმინდეები ჩამობრძანდება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტის, მეუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, სულ მალე საქართველოში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქრისტიანული სიწმინდეები ჩამობრძანდება.

ინფორმაცია გია ჯიჭონაიამ გაავრცელა:

– მორწმუნე მართლმადიდებელნო! მაქვს დიდი ბედნიერება, პირველმა გაუწყოთ უდიდესი სიხარული: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტის, მეუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, სულ მალე საქართველოში ჩამობრძანდება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ქრისტიანული სიწმინდეები, რომელთანაც შეხების და მოლოცვის საშუალება ჩვენ მანამდე არ გვქონია.

საქართველოს ევროპის სხვადასხვა წმინდა სავანეებიდან საჩუქრად გადმოეცემა: 1. უფლის ჯვრის ნაწილი (სანტა-კროჩე იერუსალიმი რომში). 2. უფლის დაკრძალვის სუდარის ნაწილი (ახენის ეპარქიის ახენის საკათედრო ტაძრიდან). 3. უფლის მოსასხამის ნაწილი (ათონი. კონსტამანტის მონასტერი). 4. უფლის წამების ღრუბელი (იტალია. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრიდან). 5. ეკლის გვირგვინის ნაწილი (სენტ-შაპელი, პარიზის მონასტრიდან). 6. უფლის წამების ჯოხის ნაწილი (ათონი, დიდი ლავრა). 7. უფლის მოსასხამის ნაწილი (ესპანეთის ქალაქ ოვიედოს სან-სალვადორის ტაძრიდან). 8. ქრისტეს ტუნიკის ნაწილი (გერმანია, ტრირის ტაძრიდან). 9. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსის ნაწილი (ქალაქ შარტრის საკათედრო ტაძრიდან). 10. ღვთისმშობლის, ქსოვილის სარტყლის ნაწილი (ახენის ეპარქიის ახენის საკათედრო ტაძრიდან). 11. ღვთისმშობლის ტუნიკის ნაწილი (ახენის ეპარქიის ახენის საკათედრო ტაძრიდან). 12. ღვთისმშობლის სარტყლის ნაწილი (ათონი, ვატოპედის მონასტერი). 13. ქვები ღმრთისმშობლის სახლიდან (იტალია, ლორეტო, ბაზილიკა. „წმინდა ქოხი“). 14. ქვა ღმრთისმშობლის საფლავიდან (იერუსალიმი. ღმრთისმშობლის მიძინების გამოქვაბულის ტაძარი გეთსემანიაში).

გადაცემულია მორწმუნეებისთვის საპატიოდ თაყვანისცემისათვის.

ასევე საქართველოში საჩუქრად ჩამოდის: წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზის, წმინდა ბარბარეს, წმინდა მატრონას და ასეულობით წმინდანთა ნაწილები. დიდება უფალს. წარმოიდგინეთ რა დიდი ბედნიერება ეწვევა სულ მალე ჩვენს სამშობლოს, რომელიც აუცილებლად მოიტანს სიმშვიდეს ერთმანეთში, სიყვარულს და უფლის მადლით გააერთიანებს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს! ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

სპილომ ნაკრძალში მწყემსი მოკლა

ინდოეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე ნაკრძალში გარეული სპილოს მსხვერპლი გახდა მამაკაცი, რომელიც ტყეში საკუთარ ნახირს მწყემსავდა. აღნიშნული ინციდენტი ინდოეთის ტამილანდის შტატის დასახლება ტალავადის მახლობლად მოხდა. სატყეო მეურნეობის თანამშრომლების თქმით, მწყემსმა ნახირი ნაკრძალის ტერიტორიაზე შეიყვანა. მალე ადგილობრივებმა სპილოს ღრიალი გაიგონეს. ისინი ხმას მიჰყვნენ და ტყიდან 500 მეტრში მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. მეტყევეებმა გამოძიება ჩაატარეს და 56 წლის დაღუპული მამაკაცის ცხედარი მის ნათესავებს გადასცეს. ვინაიდან ამ შემთხვევაში გარეული ცხოველის ადამიანზე თავდასხმა ნაკრძალის ტერიტორიაზე მოხდა, ნათესავებს ხელისუფლების მხრიდან კომპენსაციის მიღების იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

21 ივლისი

ფეხბურთი

ოლიმპიადა – ქალები

დიდი ბრიტანეთი-ჩილე	2:0
ჩინეთი-ბრაზილია	0:5
შვედეთი-აშშ	3:0
იაპონია-კანადა	1:1
ზამბია-ნიდერლანდები	3:10
ავსტრალია-ახ.ზელანდია	2:1

20 ივლისი

უეფას ჩემპიონთა ლიგა
საკვალიფიკაციო ეტაპი

ალაშკერტი-შერიფი	0:1
ლინკოლნი-კლუჟი	1:2
დინამო(ზ)-ომონია	2:0
ფერენცვაროში-ჟალგირისი	2:0
რაპიდი-სპარტა	2:1
სელტიკი-მიდტიულანდი	1:1

უეფას ჯონფეხენსიის ლიგა

დომჟალე-ჰონკა	1:1
კაუნო-ტნს	0:5
პრიშტინა-ქონახი	4:1
ფოლგორე-ჰიბერნიანსი	1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა ჩელენჯერი საფრანგეთთან მარცხით დაიწყო

თბილისში დაიწყო ევროპის 20-წლამდელთა საკალათბურთო ჩელენჯერი, რომელშიც მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილ საქართველოსთან ერთად საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, პოლონეთისა და ბულგარეთის ნაკრებები მონაწილეობენ.

როგორც უკვე ცნობილია, პანდემიის გამო კვლავ ვერ გაიმართა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატები და ფიბა-მ გადაწყვიტა ჩელენჯერების ჩატარება. ევროპის ქვეყნები დაიყო 3 კატეგორიად და ჩელენჯერები ამ ნიშნით განაწილდა. საქართველო მოხვდა კონტინენტის წამყვან 18 გუნდში და შესაბამისად, თბილისის ჩელენჯერში საასპარეზოდ ევროპის რამდენიმე წამყვანი საკალათბურთო ქვეყნის ნაკრები ჩამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ევრობასკეტ 2022-ის მასპინძელია და წლეულს 20-წლამდელთა ბ დივიზიონისთვისაც უნდა ემასპინძლა, მაგრამ ზემოთ ნახსენები პანდემიური მიზეზის გამო, მასშტაბური ტურნირის ნაცვლად რამდენიმეგუნდიანი ჩელენჯერის ჩატარება გადაწყდა. ევროპის მოწინავე დივიზიონის გუნდები ჯამში 4 ჩელენჯერს თამაშობენ – უნგრეთში, ჩეხეთში, საბერძნეთსა და საქართველოში.

თბილისში უკვე პირველი ტურის 3 მატჩი გაიმართა. პირველ შეხვედრაში გერმანიის ნაკრებმა დამაჯერებლად – 87:66 დაამარცხა პოლონეთი, ხოლო თურქეთმა ბულგარეთს სძლია – 78:71.

საქართველოს ნაკრების მეტოქე ამ ასაკში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი – საფრანგეთის ნაკრები იყო. მილოშ გლიგორიევიჩის და მისი ასისტენტების – ირაკლი ძიძიგურისა და ჯაბა ბაქრაძის გაწვრთნილმა ჩვენმა ნაკრებმა წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტ ფრანგებს. მართალია, საბოლოოდ ქართველები 21 ქულით – 63:84 დამარცხდნენ, მაგრამ ანგარიშში სხვაობა ბოლო პერიოდში გაიზარდა. მანამდე ქართველები შანსს ინარჩუნებდნენ და მეტოქეს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ.

თავად გლიგორიევიჩი ეროვნულ გუნდში მთავარი მწვრთნელის ასისტენტია და ზოგადად, ასაკობრივი ნაკრების ამოცანა ეროვნული გუნდისთვის მოთამაშეების მომზადებაა. შედეგიც კარგია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მართლაც ძლიერ მეტოქეს ეთამაშები და ეს შანსი უპირველესად გამოცდილების მისაღებად, თამაშის სწავლადასახვეწად უნდა გამოიყენო. ამ კუთხით საფრანგეთთან დაპირისპირება ძალიან სასარგებლო იყო საქართველოს ნაკრებისთვის, რომელმაც ღირსეულად იბრძოლა და სპორტის სასახლეში მოსული არცთუ მცირე მაყურებელი იმედიანად განაწყო.

მატჩის ბოლო 3 წუთი ითამაშა 2007 წელს დაბადებულმა (13 წლის) ავთანდილ ბახტაძემ, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩელენჯერის თამაშებს მწვრთნელთა შტაბი ახალი თაობის აღმოსაჩენად, ტალანტების გამოსაცდელად და მომავალზე ორიენტირებული იდეებით უყურებს.

მეორე ტურში საქართველოს ნაკრები თურქეთს დაუპირისპირდება, პოლონეთი ბულგარეთს, ხოლო გერმანია საფრანგეთს შეხვდება.

ლიპარტელიანი ფავორიტია, ნაკრებში საბრძოლო განწყობაა



ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ მონაწილეთა წარდგენას წონითი კატეგორიების მიხედვით განაგრძობს. ამჯერად, ყურადღება 100 კგ-მდე წონით კატეგორიის წარმომადგენლებს დაუთმო.

მსოფლიო ძიუდოს მამებს საქართველოს ნაკრების კაპიტნის ვარლამ ლიპარტელიანის შესახებ დასაწერი ბევრი ჰქონდათ, რადგან ჩვენებური წონის რეიტინგის პირველ ადგილზე იმყოფება.

საერთაშორისო ფედერაციამ ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ ქართველი ძიუდოისტი გადამწყვეტ ორთაბრძოლებამდე ხშირად მიდის, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას კი, როგორც წესი, ვეღარ ახერხებს.

– ლიპარტელიანი ფრანგების ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ველომრბოლ რაიმონ პულიდორს ჰგავს, რომელმაც 1950-60 წლებში ტურ დე ფრანსში მონაწილეობა 14-ჯერ მიიღო, მაგრამ სანუკვარი ყვითელი მაისურის მორგება ვერც ერთხელ მოახერხა. ვარლამი მსოფლიო ძიუდოს გამორჩეული პერსონაა, რომელიც ადამიანური თვისებებითაც გამოირჩევა. მას მსოფლიო ტურის ეგიდით 13 ტიტული აქვს მოპოვებული და ევროპული ოქროც დაუსაკუთრებია, აი, ორ ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრზე, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არ ასულა. გარკვეულწილად, აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვსაც გვაგონებს, რომელიც ხშირად მიდის ფინალამდე და იქ, ფაქტობრივად, მუდმივად აგებს. ეს, ალბათ, ფსიქოლოგიური პრობლემის ბრალიც არის, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, არადა, 32 წლის ასაკში დრო უკვე ძალიან სწრაფად გარბის. ამ დროისთვის, ლიპარტელიანი ისევ კარგ ფორმაში რჩება, მსოფლიოს პირველი ნომერია და, ცხადია, ოლიმპიადაზეც ტიტულის მაძიებელთა შორის იქნება.

საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, 100 კგ-ში ფავორიტთა შორის ასევე არიან: ჟორჟ ფონსეკა (პორტუგალია), მიხაელ კორელი (ნიდერლანდები), პეტერ პალჩიკი (ისრაელი), აარონ ვოლფი (იაპონია), გუჰამ ჩო (ს.კორეა), ნიიაზ ილიასოვი (რუსეთის ძიუდოს ფედერაცია), შედი ელნაჰასი (კანადა), ზელიმ კოცოევი (აზერბაიჯანი) და ალექსანდერ იდირი (საფრანგეთი).

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე გაიმართება.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია სპორტსმენთა და წონების წარდგენას +100 კილოგრამით დაასრულებს, სადაც ჩვენებური გურამ თუშიშვილი იჭიდავებს.

მანამდე ქართველი ძიუდოისტები ოლიმპიადის სტარტისთვის აქტიურად ემზადებიან. ტოკიოში ძიუდოს ტურნირი 24-30 ივლისს ჩატარდება და მასში 9 ქართველი ძიუდოისტი იასპარეზებს – 7 კაცი და 2 ქალი.

გუნდის სამზადისსა და მოლოდინზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა გუჯეჯიანმა ისაუბრა.

ლაშა გუჯეჯიანი:

– ვიმყოფებით ტოკიოში. ძიუდოს ნაკრები სრულ მზადყოფნაშია იმისთვის, რომ ოპტიმალურად ჩაერთოს ოლიმპიურ თამაშებში. 24 ივლისს სტარტს იღებს ძიუდო. მოგეხსენებათ, 7 წონითი კატეგორიაა და 7 დღის განმავლობაში გვექნება შეჯიბრება. დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან ბევრი წარმატება გვექნება. ჩემი გუნდის თითოეულ წევრს ვუსურვებ წარმატებას, ძალიან მაღალი ხარისხის მედლებს. მინდა, მთლიანად ქართულ დელეგაციას, თითოეულ სპორტსმენს ძალიან დიდი წარმატება და ოქროს მედლები ვუსურვო.

კომენტარი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა, 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონმა ლაშა ბექაურმაც გააკეთა, რომელმაც ტრავმის შემდეგ ვარჯიში ცოტა ხნის წინ განაახლა.

ლაშა ბექაური:

– გუნდმა სრული დატვირთვით დავიწყეთ მომზადება. ვფიქრობ, საქართველოს ძიუდოს ნაკრები ოპტიმალურ ფორმაშია და გულშემატკივარი ჩვენგან ბევრ მედალს უნდა ელოდოს. გამარჯვებისთვის, ჩვენი სამშობლოსთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გულშემატკივარი გავახაროთ.

კახა ცხადაძე: „ნეფთჩისთან მარცხი გულშემატკივრებს მაქაბისთან მოგებით უნდა დავავიწყოთ“

თბილისის დინამომ კონფერენს ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაინაცვლა, რადგან ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი, უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 2 მატჩის ჯამში, ბაქოს ნეფთჩისთან დამარცხდა. უეფა ამის საშუალებას იძლევა.

დინამოელთა მეტოქე ჰაიფას მაქაბი იქნება. საინტერესოა, რომ აქამდე, დინამო ისრაელის გუნდებთან ოფიციალური საერთაშორისო მატჩი არ ჩაუტარებია.

ამხანაგურად კი, ეს გუნდები ერთმანეთს რამდენიმე წლის წინ, ავსტრიულ შეკრებაზე შეხვდნენ. 2016 წელს დინამომ 2:0 მოიგო. გოლები გიორგი ქვილითაიამ და ოთარ კიტეიშვილმა გაიტანეს.

მაქაბისთან მატჩის წინ დინამოს მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ პრესკონფერენცია გამართა.

კახა ცხადაძე:

– სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოვეთიშეთ. ცუდად არ ვითამაშეთ, მაგრამ მარცხი ინდივიდუალურმა შეცდომებმა განაპირობა. ნეფთჩის მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავს, რომლებიც ასეთ შეცდომებს არ გაპატიებენ.

ნეფთჩისთან არც ერთ მატჩში მარცხს არ ვიმსახურებდით. თუ ვინმეს განსხვავებული აზრი აქვს, შემიძლია შევეკამათო. აქედან გამომდინარე, მაქაბისთან 2-რაუნდიანი დაპირისპირება არის შანსი, რომ დინამოს ფეხბურთელებმა გულშემატკივარს ეს მტკივნეული მარცხი დაავიწყონ.

საბედნიეროდ, ტრავმები არ გვაქვს. იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ბოლო პერიოდში შეიქმნა და იმ ფსიქოლოგიური წნეხის გამო, რომელიც როინ კვასხვაძეს აწუხებდა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა დასრულებულიყო. მეკარისთვის ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. შემიძლია გითხრათ, რომ კვასხვაძე დინამოს წევრი აღარ იქნება. მინდა მას მომავალში წარმატებები ვუსურვო.

მაქაბი ძალიან ძლიერი გუნდია, რომლის შემადგენლობაც დიდი ხანია ერთად თამაშობს და საკმაოდ რთული მატჩი გველის. მათ ჩემპიონატი ძალიან დამაჯერებლად მოიგეს, ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ აგრესიულად ვითამაშოთ და ასეთი ტიპის მეტოქეს არ მივცეთ შესაძლებლობა, რომ საკუთარი თამაში თავზე მოგვახვიოს. ინიციატივა ხელში მეტოქემ არ უნდა აიღოს. ინდივიდუალური შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, საინტერესო თამაში გველის.

დინამოსა და მაქაბის მატჩი 22 ივლისს, „დინამო არენაზე“ 20:30 საათზე დაიწყება.

მილუოკი ბაქსი ნბა-ს ჩემპიონი 50 წლის შემდეგ გახდა

50-წლიანი პაუზის შემდეგ მილუოკი ბაქსი ნბა-ს ჩემპიონია. 1968 წელს დაარსებულ გუნდს პირველობა მხოლოდ 1971 წელს ჰქონდა მოპოვებული და ნანატრი გამარჯვება წელს მოიპოვა. „ხარირმებმა“ გადამწყვეტ მატჩში 105:98 მოუგეს ფინიქს სანსს და სერიაში 4:2 იმარჯვეს. არადა, თავიდან 0:2 ჩამორჩნენ. მატჩის გმირი კი, იანის ატეტეკუმბო გახდა, რომელმაც 50 ქულით, 14 მოხსნითა და 5 დაფარებით ულიდერა მილუოკელებს და ფინალების მვპ გახდა.

იანის ატეტეკუმბო:

– მინდა, მილუოკის მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ ჩემი დაიჯერეს. მეც ვენდობოდი ამ გუნდს. მიზნის მიღწევა ამ ქალაქისთვის და ამ ბიჭებისთვის მინდოდა. უბრალოდ ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით. არასდროს შემეძლო „მილუოკის“ დატოვება, ვიცოდი, რომ საქმე იყო გასაკეთებელი. სულ ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი ქალაქი იყო, მათ ყოველთვის სჯეროდათ ჩემი, მენდობოდნენ. ჩემთვის ადვილი იქნებოდა სადმე სხვაგან, სუპერგუნდში წასვლა და ტიტულის მოპოვება – ეს მარტივია. შემეძლო სუპერგუნდში წასვლა და ნბა-ს ჩემპიონობა. თუმცა, მე ავირჩიე უფრო რთული გზა. ასე მინდოდა წარმატების მოპოვება და ეს გავაკეთეთ. კალათბურთის თამაში დავიწყე ჩემი ოჯახის დასახმარებლად, ვცდილობდი, რომ ოჯახი ეკონომიკური სირთულეებიდან გამომეყვანა. არასდროს მიოცნებია, რომ 26 წლის ასაკში ჩემპიონი და ფინალის მვპ გავხდებოდი. ვიცი, რომ მაგალითი გავხდი, მინდა გავაუღერო მესიჯი, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში, ყველას სჯეროდეს თავისი ოცნების. არ აქვს განწყობას და მწუხარების მომენტებს მნიშვნელობა – მთავარია გჯეროდეს შენი საქმის და განაგრძო მცდელობა. არასდროს მისცეთ უფლება ვინმეს, გითხრათ, რისი გაკეთება შეგიძლიათ და რისი – არა. მე ნბა-ს ჩემპიონი გავხდი. მინდა ხალხი მიყურებდეს და ფიქრობდეს: ყველაფერი შესაძლებელია. მილუოკის „ფაისერვ-ფორუმის“ არენის წინ კი მილუოკის ჩემპიონობას 65.000-ზე მეტი გულშემატკივარი ზეიმობდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 6. ქვეყანა; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნების და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. რომან „ელგუჯას“ პერსონაჟი; 18. თირკმლების ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. გერმანული ავტომობილი; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 26. რაიონული ცენტრი იმერეთში.

თარაზულად: 7. ავსტრალიის აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმეისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. ქება-დიდება; 17. მუსიკის, ხმის, სიმღერის ჩანაწერი ფირფიტაზე, ფირზე, დისკზე; 19. იტალიური ავტომობილი; 21. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 22. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ელიავა; 6. მორიკონე; 8. არაგვი; 10. ბოტანიკა; 12. იოკასტე. 16. კანოე; 17. თოიძე; 18. ნოკია.

თარაზულად: 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. მუხთალი; 9. ზანდური; 10. მარშალი; 13. ვანდომი; 14. ბორანო; 15. ფოკა; 19. კასკადი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინიკენი; 22. მახათა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დორსე; 2. წყალი; 3. ჰოოპუნა; 4. მახა; 5. იაგო; 6. ამსტელი; 9. მარკშეიდერი; 10. ქიმერიონი; 11. ლივერპული; 14. ცეკვა; 16. ტაიჭი; 18. მაესტრო; 20. ლაშქარი; 23. პერო; 24. გორდი; 25. ბლუზი; 26. თუნი.

თარაზულად: 7. ცოლიკაური; 8. ფანატიზმი; 12. გურია; 13. პირეი; 15. ნოკია; 17. კასტელანი; 19. იუდეა; 21. ლეონი; 22. ფლეში; 27. პროკურორი; 28. ფურნიტურა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 ივლისი

აშშ დოლარი — 3.0950

ევრო — 3.6437

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2166

100 რუსული რუბლი — 4.1653

ამინდის პროგნოზი 22 ივლისისათვის

დეპაი: „ბარსელონაში თამაში ყოველთვის მინდოდა“



მემფის დეპაი ბარსელონამ ოფიციალურად წარადგინა და, ბუნებრივია, ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან კომენტარიც გააკეთა.

დეპაის თქმით, მას ყოველთვის სურდა ბარსელონაში თამაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავარი მწვრთნელი კუმანი გახდა:

– ბარსელონა განსაკუთრებული გუნდია და მიხარია, რომ ამ გუნდის ნაწილი გავხდი. შევეცდები, რომ გულშემატკივარს იმედები გავუმართლო და ყველას დავანახო, რომ ბარსელონამ სწორი არჩევანი გააკეთა.

ლეონ გორეცკამ, შესაძლოა, ბაიერნი დატოვოს

ლეონ გორეცკამ შესაძლოა უახლოეს მომავალში გუნდი დატოვოს, რადგან ის ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს. ამის მიზეზი კი ფულია და ბაიერნმა გორეცკას ანაზღაურების გაზრდაზე უარი უთხრა.

გორეცკას მომავალი გუნდებიდან ყველაზე რეალური მანჩესტერ სიტია და მანჩესტერელებს მისი ყიდვა ადრეც სურდათ.

გორეცკას ყიდვით ესპანური გუნდებიც ინტერესდებიან.

მესი ოქროს ბურთის მოგების მთავარი კანდიდატია

ბარსელონას კაპიტანი და ლიდერი ლიონელ მესი ოქროს ბურთის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და, სავარაუდოდ, მას წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს. განსაკუთრებით მესის პოზიციები მას შემდეგ გამყარდა, რაც არგენტინის ნაკრებმა კოპა ამერიკა მოიგო, მესი კი ამ ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

მისი მთავარი კონკურენტი ნგოლო კანტე იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

უზარმაზარმა ნიანგმა დარაჯს ფეხი მოაჭამა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში უზარმაზარმა ნიანგმა დარაჯს ფეხი მოაჭამა.

ფერმერი ეშვარდინი, რომელიც დარაჯადაც მუშაობს. სოფელ ბელას მახლობლად შარდას არხზე გადადიოდა. ამ დროს მას თავს უზარმაზარი ნიანგი დაესხა და მისი წყლის სიღრმეში ჩათრევა სცადა.

მამაკაცი აყვირდა და მას დასახმარებლად გამვლელები მისცვივდნენ. მათ რეპტილიას ქვები და ჯოხები დაუშინეს და 15 წუთის ბრძოლის შემდეგ მოახერხეს დაშავებულის ნიანგის ყბებისგან განთავისუფლება.

მისი მარცხენა ფეხი თითქმის ბოლომდე იყო მოგლეჯილი. დაშავებულმა გონება დაკარგა. ეშვარდინი ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც შემდეგ ქალაქ ლაკნაუს სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა ექიმებმა მძიმედ შეაფასეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

22 ივლისისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა ეს გარისკვის საბაბს მაინც არ გაძლევთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **კურო** – თუ ფინანსურად ამის საშუალება გექნებათ, ქველმოქმედებით დაკავდით. ინტიმურ პრობლემებზე ზედმეტი კონცენტრირება საჭირო არ არის. **ტყუპები** – იყავით სამართლიანი და ყველა გადაწყვეტილება აქედან გამომდინარე მიიღეთ. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა. **კირჩხიბი** – ინდივიდუალურად იმუშავეთ. პირად ცხოვრებას დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა გაამართლებს. **ლომი** – პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. დაძაბული დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – დაკავდით სპორტით, ივარჯიშეთ. კარგი იქნება, თუ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებით. **სასწორი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან, თუმცა მთავარი გადაწყვეტილების მიღება მაინც თქვენ გეკისრებათ. **ღრიანკალი** – იაქტიურეთ. ძალები გონივრულად გადაანაწილეთ. ზედმეტი ამბიციურობა გავნებთ. **მშვილდოსანი** – ეგოიზმი, სიძუნწე, სიჯიუტე დათრგუნეთ. გონიერება და თავშეკავება დღის დევიზია. **თხის რქა** – მოსალოდნელია კამათი ხელმძღვანელ პირებთან. კონფლიქტი საკადრო საკითხებს უკავშირდება. **მერწყული** – აქტიური დასვენება ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. შესაძლოა ჰონორარი მიიღოთ. სირთულეები დროებით უკან რჩება.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დედა ქალიშვილს ეუბნება:

– შვილო, ერთი-ორი კვირა დავრჩები თქვენთან...

– რა თქმა უნდა, დედა, დარჩი.

– და შენი ქმარი ხმას რატომ არ იღებს?

– სიხარულისგან სიტყვებს ვერ პოულობს.

●●●

ერთი თანამშრომელი მეორეს ურეკავს და ეუბნება:

– კაცო, სად ხარ? უფროსი უკვე მთელი საათია, გეძებს.

– უფროსს გადაეცი, რომ კარგი თანამშრომლის პოვა ყოველთვის ძნელია.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– იცი, თურმე დედაშენი აფრიკაში ყოფილა.

– საიდან მოიტანე?

– როგორ თუ საიდან, ახალ ამბებში გამოაცხადეს: „აფრიკაში ახალი, უცნობი წყლულია აღმოჩენილი...“

●●●

ქალს ეკითხებიან:

– რა განსხვავებაა ძლიერ და სუსტ ქმარს შორის?

– სუსტია ის ქმარი, რომელსაც ცოლი ხელფასს ძალით ართმევს, ხოლო ძლიერი ცოლს ხელფასს თვითონ აძლევს.

●●●

ცოლი ქმარს დილით ეუბნება:

– დღეს საშინელი სიცხეა გამოცხადებული. ჩაცმული თუ ვივლი, უბრალოდ მოვკვდები და შენი აზრით, რას იფიქრებენ ჩვენი მეზობლები, ეზოში შიშველს თუ დამინახავენ?

– იფიქრებენ, რომ ფულის გულისთვის მოგიყვანე ცოლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი უშიკიშვილი: „ყველას აქვს უფლება, რაღაც არ მოსწონდეს“

მომღერალი გიორგი უშიკიშვილი მიიჩნევს, რომ თუკი ქვეყანაში ასე გაგრძელდება, ეს გაგვანადგურებს.

– ყველას აქვს უფლება, რაღაც არ მოსწონდეს. ასევე, ყველას აქვს უფლება პროტესტის გამოხატვის, მაგრამ მშვიდობიანად, მშვიდობიანად! ცემა, ლანძღვა, დაპირისპირება, სიძულვილი უხარია ჩვენს მტერს. მას, ვისაც არ უნდა ჩვენი შვილების ნათელი მომავალი. ასე გაგრძელება გვანადგურებს და იქნებ ყველამ ერთად გავიაზროთ.

ბათუმში სულიკო ჟღენტის სახელობის კინოს მუზეუმი გაიხსნება

გამოჩენილი ქართველი დრამატურგის დაბადებიდან 95 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე გაცხადდა აჭარის მთავრობის გადაწყვეტილება სულიკო ჟღენტის კინომუზეუმის გახსნის შესახებ, ინიციატივა მხარდაჭერილი იქნა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ.

ბათუმში, ხულოს ქუჩაზე მუზეუმის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი არჩილ ჩიქოვანი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუზეუმში ასახული იქნება ქართული კინოს ისტორია და თანამედროვე კინოხელოვნების განვითარების ტენდენციები. შეიქმნება მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა.

მუზეუმის მოწყობის სამუშაოები დაიწყება მიმდინარე წელს, პროექტი აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ოლიკო ჟღენტი, სულიკო ჟღენტის შვილი:

– ასრულდა ჩვენი ოცნება! ბათუმში სულიკო ჟღენტის სახელობის კინოს მუზეუმი გაიხსნება! ვულოცავ ბათუმს, ჩემს მშობლიურ აჭარას და სრულიად საქართველოს! განსაკუთრებული მადლობა აჭარის მთავრობას.

გელა დაიაური: „არ გავჩერდები, სანამ ბოლომდე, სრული სახით არ აღდგება ციხე-ქალაქი მუცო“

პოეტი გელა დაიაური ინტერნეტით აცხადებს, რომ ციხე-ქალაქ მუცოს მეხუთედი აღსადგენია:

– როგორც ვარკვევ, მუცოს რეაბილიტაცია დასრულებული მიაჩნიათ ამ საქმის მესვეურებს და საზოგადოებასაც მსგავს ინფორმაციას აწვდიან. დეტალებს კიდევ გავარკვევ, ქალაქში რომ ჩამოვალ, არ მინდა, ცრუ ინფორმაცია აღმოჩნდეს, ნეტა, აღმოჩნდეს.

საზოგადოებასაც ვეტყვი, რომ მთლიანი კომპლექსის დაახლოებით მეხუთედი აღსადგენია. ვიცი, რა თანხაც დაიხარჯა. არ გავჩერდები, სანამ ბოლომდე, სრული სახით არ აღსდგება ციხე-ქალაქი მუცო.

მადლობა, რაც გაკეთდა მუცოსთვის, მაგრამ ნახევრად გაკეთებული საქმე საქმე არ არის!

ხელი არ მოუკიდებიათ თორღვას ციხისთვის. კარგად თუ დააკვირდებით, დეფორმირებულია და დანგრევის პირასაა. ზემოთ უბანზე აღარ ვსაუბრობ!

თინათინ მაღალაშვილის ახალი კოლექცია ქველმოქმედებისთვის შეიქმნება



დიზაინერ თინათინ მაღალაშვილის ახალი კოლექცია ქველმოქმედებისთვის შეიქმნება.

– სულ მალე ახალი ხაზით დაგიბრუნდებით. თინათინი ბერი ანდრიას დედა – დედა თინათინი ის ადამიანია, ვინც ამოუსუნთქავად ზრუნავს და შრომობს სიმსივნით დაავადებული ბავშვების კეთილდღეობისთვის!

ზუსტად ამიტომ გაუჩნდა იდეა, შეგვექმნა ახალი ხაზი, ახალი, მაგრამ ბევრისთვის ნაცნობი ბრენდის ქვეშ, რომელიც იქნება საქველმოქმედო და შემოსავალი მთლიანად მოხმარდება ბერი ანდრიას ფონდის შვილობილებს.

ბედნიერი ვარ, რომ უფალმა მომცა შესაძლებლობა, ჩემი ნამცეცა წვლილი შემეტანა მის კეთილ საქმეებში. ძალიან დიდი იმედი გვაქვს თითოეული თქვენგანის მხარდაჭერის.

უსინათლოთა კულტურის ცენტრი ყურადღებას ითხოვს

საქართველოს უსინათლოთა კულტურის ცენტრის დირექტორი ცირა ვეფხვაძე კულტურის სამინისტროსგან ყურადღებას ითხოვს.

– მივმართავ უსინათლოთა კულტურის ცენტრის თანამშრომლებს: ვიკრიბებით კულტურის სამინისტროსთან, ყოველგვარი ბანერებისა და ტელევიზიების გარეშე მინისტრთან შეხვედრის თხოვნით. იმედი ჯერ კიდევ გვაქვს, რომ არ გაგვაწბილებენ.

მოგმართავთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს: უსინათლოთა ერთადერთ ცენტრს თქვენი დახმარება ახლა ჰაერივით სჭირდება. იგი უკვე მეორე თვეა, დაფინანსების გარეშე დარჩა, თუმცა მაინც სრული დატვირთვით მუშაობს. უსინათლოთა კავშირმა თავისი პირობა შეასრულა და მაისის ბოლომდე დაგვაფინანსა. ახლა ჯერი კულტურის სამინისტროზეა, რომელიც ცენტრის საქმიანობას 2013 წლიდან აფინანსებდა, წელს კი ჩვენთვის ვეღარ მოიცალა.

თავს არ გაცოდებთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ უსინათლობა ინვალიდობის ყველაზე მძიმე კატეგორიაა. დაეხმარეთ ჩვენს ცენტრს, რადგან შემოქმედებითი უნარების მქონე უსინათლო სხვაგან ვერსად დასაქმდება. ცხოვრება ისედაც რთულია, ჩვენთვის, მით უფრო. ამიტომაც გთხოვთ, კიდევ მეტად ნუ დაგვიმძიმებთ. მოგვეცით შესაძლებლობა: ვიმღეროთ, ვწეროთ, ვიკითხოთ, ვითამაშოთ სცენაზე... ანუ ვიცხოვროთ და საყვარელი საქმე ვაკეთოთ. ვფიქრობ, უსაშველოს არაფერს ვითხოვთ. ჩვენ გენდეთ და ხმა მოგეცით, ამასვე ვაპირებთ ოქტომბერშიც. გასაჭირის ჟამს, იმედია, თქვენი თანადგომაც არ დააყოვნებს.“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ეპიდემია, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილზე ვრცელდება; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მკვრივი, დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში.

თარაზულად: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 13. შემოწმება მოქმედების სისწორისა და კანონიერების დადგენის მიზნით; 14. დიდი სატრანსპორტო, სამგზავრო გემი; 15. მინერალური წყალი სტეფანწმინდის რაიონში; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. ქართველი მწერლის ეგნატე ინგოროყვას ლიტერატურული ფსევდონიმი; 22. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა